ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 5 (1443)

22 – 29 თებერვალი 1996 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

»ბატონო თემურ! ბატონო გიგლა!

თუ ჩემსას არ ისმენთ, რა გაეწყობა, გყავდეთ ეს როდიონოვის მართვე გამგებლად, რაღაცაში ეგეც ვარგა. მაგალითად, ყოველდღე მაგრად უკრავს და მგონი დღეში 2-ჯერ მღერის... ოღონდ დიდი აკაკის სიტყვებიც არ დაივიწყოთ: მეფე (ამ შემთხვევაში გამგებელი) რომ პიი-პუუს დაიწყებს, ქვეშევრდომნი ვაი-ვუის შემოსძახებენო“

## ნოდარ გრიგალაშვილის წერილი „რამ გაუმხნევათ არ ვიცი, ამ უბედურებს გულები“

იხ. მე-2, მე-3, მე-4 გვ.

## კურიოზები

მე-7 გვ.

## ჰოროსკოპი

მე-8 გვ.

რევაზ შავიშვილი:

## ღირებულება იდება სალაროში, განსხვავება – ჯიბეში...

**— 1996 წლის ბიუჯეტში კონტროლის პალატის ინიციატივით შეტანილია პუნქტი მატერიალურად პასუხისმგებელ პირთაგან დანაკლისის ორმაგად ამოღების შესახებ, რატომ?**

— ამ პუნქტში ნათქვამია, რომ მაკონტროლებელი ორგანოების მიერ შემოწმების დროს გამოვლენილი მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისის დაფარვა მატერიალურად პასუხისმგებელ პირთაგან მოხდება ორმაგი საბაზრო ფასებით.

**— სად არის სამართალი, თუ სახელმწიფო ორმაგ ფასებში იღებს, ძალიან მკაცრი ხომ არ არის?**

— არა მარტო — მკაცრი, არამედ ჰუმანურიც. საქმე ეხება გატაცებულ ქონებას. მე ვფიქრობ, რომ ასეთი გადაწყვეტილება გაცილებით ადრე უნდა მიეღოთ. მატერიალური ფასეულობების ბალანსურსა და საბაზრო ღირებულებებში ისეთი სხვაობაა, რომ ამან გამოიწვია საქართველოში მატერიალურ ფასეულობათა ფართომასშტაბური დატაცება.

**— შეგიძლიათ, მოიყვანოთ მაგალითი?**

— ათასობით. ვთქვათ, ორგანიზაციის ბალანსზე ირიცხება ტრაქტორი. მისი ღირებულებაა 10000 მანეთი. შემდეგ ეს გადაიქცა 10000 კუპონად და,



კიდევ რამდენიმე გადაფასების მიუხედავად, ტრაქტორის საბალანსო ღირებულება საბაზროზე ათჯერ ნაკლები დარჩა. აქ პირდაპირი გზაა დატაცებისაკენ. ტრაქტორი იყიდება, საბალანსო ღირებულება იდება სალაროში, განსხვავება — ჯიბეში.

**— და ასე ბევრი გადაიდო მარცხნივ?**

— საოცრად ბევრი, მანქანები, საქარხნო მოწყობილობანი, მუსიკალური ინსტრუმენტები, ტელევიზორები, მაცივრები, ზეწრები, გადასაფარებლები და, ღმერთმა უწყის, კიდევ რა. მარტო 1994 წელს ვერ გამოვლინეს 700 მილიარდი კუპონის დანაკლისი. 1995 წლისთვის თანხები ბოლომდე არ არის გამოანგარიშებული, მაგრამ, წინასწარი მონაცემებით, აქ ტრილიონ კუპონამდე შეგროვდება და ეს ყველაფერი ფასეულობათა არა საბაზრო, არამედ საბალანსო ღირებულებათა გამოკლებით.

**— ესე იგი, ბიუჯეტი ამ პუნქტით გვარიან შევსებას მიიღებს!**

— ჩვენ არ შეგვიძლია ყველაფერი გავაკონტროლოთ, მაგრამ ვიმედოვნებთ, 1996 წელს ბიუჯეტი შეივსება რამდენიმე ათეული მილიონი ლარით.

**— და მაინც, რატომ იღებენ მატერიალურად პასუხისმგებელ პირთაგან ორმაგს?**

— აქ პატარა ეშმაკობაა. დამრღვევი ფიქრობს — რატომ ვიჩქარო? კონტროლის პალატა შეამოწმებს და მერე დავფარავ დანაკლისს. გამორიცხული არ არის, რომ შემოწმება საერთოდ არ მოხდეს. აქ ჩვენ გადავწყვიტეთ — დაე, მათ იზრუნონ, რათა ჩვენი მისვლისათვის ყველაფერი წესრიგში იყოს. თუ აღმოჩნდება დანაკლისი, ორმაგს გადავახდევინებთ, ეს იქნება საჯარიმო საშუალება. ჭკვიანი გაიგებს და წინასწარ იზრუნებს.

**— შემოწმება უკვე პრივატიზირებულ საწარმოებსაც ეხება?**

— პრივატიზირებულ საწარმოებთან საქმე რთულადაა. თუ პრივატი-

გაგრძელება მე-8 გვ.

პარლამენტარები

მიხეილ სააკაშვილი:

## ჩვენ არაფერს უარვყოფთ ცალსახად და არაფერს ვიღებთ ცალსახად



მიხეილ სააკაშვილი – 28 წლის. დაამთავრა თბილისის 51-ე საშუალო სკოლა, კიევის უნივერსიტეტი, კოლუმბიის უნივერსიტეტი, ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის დოქტორანტურა. სპეციალობით იურისტია – საერთაშორისო სამართალმცოდნე. მუშაობდა გაეროს სამდივნოში, ნორვეგიის ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტში. ექსპერტი. საქართველოს პარლამენტის დეპუტატი გახდა „მოქალაქეთა კავშირის“ სიით. არჩეულია საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარედ. ჰყავს მეუღლე და პატარა ვაჟიშვილი ედუარდი, რომელსაც ეს სახელი მიშამ სიმამრის საპატივსაცემოდ დაარქვა.

**— ბატონო მიშა, რამ განაპირობა „მოქალაქეთა კავშირის“ სიით თქვენი პარლამენტის წევრობა?**

— ჩემს თბილისში ჩამოსვლამდე ზურაბ ჟვანია რამდენჯერმე იყო ამერიკაში. პირადად ჩემთან ჩამოვიდა ნიუ-იორკში, რათა დავერწმუნებინე, რომ საქართველოში მომწიფდა სიტუაცია ახალი საქმეების დასაწყებად. საერთოდ მიმაჩნია, რომ „მოქალაქეთა კავშირი“ ჩვენი საზოგადოების ზუსტ მოდელს წარმოადგენს. პარტია ყოველთვის უნდა ასახავდეს საზოგადოების ყველა სფეროს ინტერესებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება ინტელიგენტთა კლუბი და განწირულია არჩევნებში დასამარცხებლად, როგორც ძალიან ბევრ სიმპათიურ პოლიტიკურ ძალებს მოუვიდათ. ჩემი ფრაქციაში შესვლა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ მთლიანად ვიზიარებ ფრაქციის ძირითად პოსტულატებს. ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „მოქალაქეთა კავშირის“ მიერ აღებულ კურსს, ითანამშრომლონ საზღვარგარეთ განათლებამიღებულ პროფესიონალებთან.

რა თქმა უნდა, ადამიანმა შეიძლება გორის ან ქუთაისის უნივერსიტეტი დაამთავროს და მაღალი კლასის სპეციალისტი იყოს, მაგრამ არ შეიძლება უგულვებელვყოთ და არ გამოვიყენოთ ის ადამიანები, რომელთაც განათლება დასავლეთში მიიღეს. იქ მყოფი ქართველები სამშობლოს გულისტკივილით ცხოვრობენ, მაგრამ აქ ჩამოსვლის რეალურად ყველას ეშინია.

**— ეშინიათ? კი მაგრამ რისი!**

— დიახ, ეშინიათ და არა მატერიალური გაჭირვების, არამედ უმოქმედობის. მაგალითად, ჩემი მეგობარი, რომელმაც ორი წელი კოლუმბიის უნივერსიტეტში გაატარა და ერთი წელი მსოფლიო ბანკში, საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ კიდევ უფრო დაბალ თანამდებობაზე დანიშნეს, ვიდრე წასვლამდე მუშაობდა და საქმეს საერთოდ ახლოს არ აკარებენ.

სამწუხაროდ, საქართველოში ეს ფაქტი გამონაკლისს არ წარმოადგენს.

მეორე, რამაც მიმიზიდა ზურაბ ჟვანიაში და ამ ჯგუფში, ეს გახლავთ კრისტალურობამდე მისული პატიოს-

გაგრძელება მე-8 გვ.

## სასოწარკვეთილი ადამიანების ძახილი

1991 წლის 22 დეკემბრის მოვლენების შედეგად მთავრობის სახლის მახლობლად მცხოვრები სამასი ოჯახი უსახლკაროდ დარჩა. ისინი სასტუმროებში („ივერია“ „აჭარა“ „საქართველო“) შეასახლეს. შეიქმნა სამთავრობო კომისია, რომელსაც 1992 წლის პირველ კვარტალში ამ ადამიანებისათვის მატერიალური ზარალი უნდა აენაზღაურებინა. ერთი წელი მოუნდა, რომ სამასი ოჯახისათვის ბინის ორდერები დაერიგებინათ. უკვე ოთხი წელია მათ ეს ორდერები ხელთ აქვთ, ბინა კი არსად ჩანს. ამ პრობლემებს მიეძღვნა პრეს-კონფერენცია, რომელიც დაზარალებულთა საინიციატივო ჯგუფმა გამართა.

ერთ-ერთმა საინიციატივო ჯგუფის წევრმა ჯულიეტა ლომთაძემ პრეს-კონფერენციის დასაწყისშივე ჟურნალისტებს განუცხადა, ეს არა მხოლოდ პრეს-კონფერენციაა, არამედ აქციაა. „ჩვენ დავიღალეთ, უკვე ზღვარი არა აქვს მთავრობის უსინდისობას. თუ ადრე დაპირებებს გვაძლევდნენ, ახლა გვითხრეს, ვინც დაგწვათ, იმას მიმართეთო. 4 წელი ელოდა ხალხი, რომ ყიფშიძის ქუჩაზე ბინა აშენდებოდა, ეხლა გამოგვიცხადეს, არ აშენდებაო. რადგან 1991—92 წლის მოვლენებს არ მიეცა შეფასება, მიგვაწებეს აფხაზეთიდან ლტოლვილებს. სტატუსი ჩვენი გაუგებარია. როცა ეს მოვლენები მოხდა, გაიხსნა სპეციალური ანგარიში, რუსთაველის პროსპექტის აღდგენის ფონდი. ამ ანგარიშზე, როგორც ცნობილი იყო, ბატონმა შევარდნაძემ ასი ათასი დოლარი გადმორიცხა, ვატიკანის ეკლესიამ ერთი მილიონი დოლარი. ასევე გერმანიაში იყო ანგარიში, საიდანაც საქართველოში თანხები ირიცხებოდა. დღეს ჩვენ ვეკითხებით მთავრობას, სად გაქრა ეს დახმარებები და შემოწირულობები?.. მთავრობას, რომელსაც კონვენციაზე ხელი აქვს მოწერილი, ის არის სამართალმემკვიდრე იმ მთავრობისა, რომლის წყალობით მოხდა „ხავერდოვანი რევოლუცია“. აი, ამ მთავრობამ ჩვენ არც ერთ წერილზე პასუხი არ გაგვცა“.

დაზარალებულებს იმედი ჰქონდათ, რომ მათ ბიუჯეტში გაითვალისწინებდნენ, მაგრამ ეს იმედიც გაუცრუვდათ. როგორც აღინიშნა, ბიუჯე-

გაგრძელება მე-8 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგებელი და მისი საგამგებლო...

# რამ გაუმხნევათ არ ვიცი, ამ უბედურებს გულები...

ნოდარ გრიგალაშვილი

> დამარცხდა, იმას ჰფიქრობენ,
> ლომს ეხვევიან ტურები,
> რამ გაუმხნევა არ ვიცი
> ამ უბედურებს გულები?!
> რად არ ჰფიქრობენ ბედკრულნი,
> რომ ლომი ისევ ლომია,
> ისეა განა ტურებთან,
> რომ ვეღარ შეძლოს ომია?
>
> ვაჟა-ფშაველა

* * *

რა ხანია არჩევნები ჩამთავრდა. დაცხრა ის ვნებათა ღელვა, რაც საარჩევნო პროცესს თან ახლდა. ამდენად, არც სურვილი მქონდა და არც დრო იმისა, საარჩევნო ბატალიებს მივბრუნებოდი. პირიქით, ძალიან გაგებით მოვეკიდე არჩევნების შედეგებს. თუ დამიჯერებთ, იმ ლაკედემონელივითაც კი მიფიქრია, სამასთა სათათბიროს წევრობა რომ ითხოვა და როცა უარი უთხრეს, შესძახა: ბედნიერი ვარ, რომ სპარტაში სამასი კაცი აღმოჩნდა ჩემზე ღირსეულიო...

არჩევნები იმის არჩევნებია, ვიღაც დამარცხდება, ვიღაცა კი გაიმარჯვებს. კაცი არც დამარცხებამ უნდა გააფუჭოს და არც გამარჯვებამ გაალაღოს...

არჩევნების შემდეგ მე მაინცდამაინც დიდ „ტრაურში" ვერ ვგრძნობდი თავს, ეს ჩემი ყოფილი მოწინააღმდეგენი კი გამარჯვებას ისე გაულაღ-გაუამპარტავნებია, რომ ა[illegible]ნი ხნის გასვლის შემდეგაც არ მანებებენ [illegible]ავს.

თუ ჯობნაა, ჯობნა იყოსო და ამ შეჩვენებულებმა სამწერლო ასპარეზზეც გაბითურება მომინდომეს...

კა[illegible] ხნის გასვლის შემდეგ, არც მეტი, არც ნაკლები, შაირობა დამიწყეს...

ღმერთი — რჯული, მე ამათთან შაირობა და ამათ ცოდვაში ფეხის ჩადგმა არ მინდოდა, მაგრამ რაკი არ იშლიან, იყოს ნება ღვთისა, „შაირ სიტყვითა მესტვირე" **რობერტა ცუცქირიძისა** და მისი მარჩენალის, ბორჯომის გამგებლის, მედოლ-მეკლარნეტ-მეჩონგურე **ვაჟა, იგივე ალექსი ბერიძისა...**

(რაიონის ხელმძღვანელთაგან, ამ ჭხრივ, აღმოსავლეთ საქართველოში ავთო იყო ცნობილი, რცხილაძე, სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში კი, ვენაცვალე მავას, [illegible] გვყავს, ბერიძე)...

* * *

ერთი სიტყვით, როგორც მიხვდით, მკითხველო, 1995 წლის ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში მეც, თქვენი მონა მორჩილი, ბორჯომის საარჩევნო ოლქში ვიყრიდი კენჭს. მოხდა ისე, რომ 28 კანდიდატიდან ყველაზე მეტი ნდობა ხალხმა მე გამომიცხადა. პირველი ტურის შემდეგ პირველ ადგილზე აღმოვჩნდი.

ჩემო საყვარელო ბორჯომელებო, ჩემო ალალმართალო და მოტყუებულო ხალხო, ნეტამც თქვენებური თანადგომა და სიყვარული არ გამოგეხატათ ჩემი უღირსი პერსონისადმი.

რომ ვფიქრობდი, თქვენი დამცველი და ქომაგი ვიქნებოდი ამა სოფლის ძლიერთა წინაშე, თავი აქეთ გამიხდა დასაცავი რაიონის გამგებლისა თუ მის გარშემო შემოცუცქული ტურა-მელებისაგან.

* * *

დაიწყო მეორე ტური და რა დაიწყო, მე რომ მეგონა, კენჭს ვიყრიდი, ისინი ლოდებს მაყრიდნენ ადგილობრივი მაფიოზებისა და დედაქალაქიდან გამოხმობილი მაშველი ჯგუფის (რომელსაც „ოფიციანტების პოეტი" რეზო ამაშუკელი ხელმძღვანელობდა) შეერთებული ძალებით...

„მტრის", ე.ი. ჩემს დასამარცხებლად რაიონის გამგებლის — ვაჟა ანუ ალექსი ბერიძის მთავარსარდლობით შედგენილ იქნა სტრატეგიული და ტაქტიკური გეგმა...

უპირველეს ყოვლისა, დახატეს ჩემი შინაგანი პორტრეტი (გარეგნული, რა თქმა უნდა, თუ სადმე იყო გაკრული, ჩამოხიეს)...

ეს პორტრეტი ძალიან „მიმზიდველად" გამოიყურებოდა:

მკვლელი!

მორფინისტი!

მხედრიონელი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ბორჯომში მომხდარ ჯერ მიჩუმათებულ და შემდეგ საქვეყნოდ გახმაურებულ მკვლელობის საქმეში...

ტერორისტი! მონაწილეობა მაქვს მიღებული უამრავ ტერაქტში, რაც დავაგვირგვინე ბატონ ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ წარუმატებელი და შემდეგ ისრაელის პრემიერ-მინისტრის იცხაკ რაბინის წინააღმდეგ წარმატებული მცდელობით... რა თქმა უნდა, „ზვიადისტიც" ვიყავი. ერთადერთი სტალინისტობა და კომუნისტობა არ დაუბრალებიათ, პირიქით, გაზეთებში მამუნათებდნენ, სამწუხაროდ, ანტისტალინისტი და ანტისოციალისტიაო. ლენინ-სტალინის იდეებით გაჟღენთილ გამგებელს გულწრფელად სჯეროდა, ამ „უბედურებას" ვერ გადავიტანდი...

მე, ალბათ, ბერიძისა და მისი „შტაბის" აზრით სხვა უბედური თვისებებითაც ვიყავი „დაჯილდოვებული", მაგრამ ჩემს ყურამდე რაც მოვიდა, ისიც საკმარისი იყო ცოტა გავფაფხურებულიყავ, რათა ერთ-ორ ბრალდებაზე მაინც გამომეხატა პროტესტი...

ადგილობრივი ტელევიზიით გამოსვლაზე უარი მტკიცა გამგებელმა.

ადგილობრივ გაზეთს ადგილობრივი რედაქტორი გადაეფოფრა, — წადი, დამანებე თავი, კაცი არა ხარ, ცოლი მყავს, შვილი მყავს, გამაუბედურონ გინდაო?

დავიწვი ამ საწყალი რედაქტორის ცოდვით, თან თბილისიდან ჩამოსული მეგობრებიც მახლდნენ — პაატა ზაქარეიშვილი, ლევან ალაფიშვილი, ლევან მესხი. ესენი მისი ცოდვით მთლად დადნენ...

ერთი საშუალება მაინც ვცადე.

ვალიკო, — ვეკითხები რედაქტორს, —

მკვლელი ვარ? — არა

მორფინისტი? — არა

მხედრიონელი? — არა

ტერორისტი? — არა

ზვიადისტი? — არა.

აპა, ჩემო ვალიკო, რა წერია ამ განცხადებაში მეტი, დამიბეჭდე შე კაცო! ხაფანგში გამომწყვდეული ვირთხასავით გააცეც-გამოაცეცა თვალები ვალიკომ და პაატა ზაქარეიშვილს მიაშტერდა, ეტყობა მისი სახე ტელეეკრანიდან ეცნო, შეშფოთებული მეკითხება:

— ეს, ეს ვინ არის!

— პაატაა, ვალიკო, ზაქარეიშვილი, არძინბასაც რომ აგებინებს ხანდახან რაღაცას და შენ ვერ შეგასმინა ვერაფერი-მეთქი...

— არძინბა მოვიდეს, შენ წადი, არძინბას მოსვლა სჯობია, გამაუბედუროთ გინდაო...

ისე ამოიღნავლა ვალიკომ, ჩემი ფეხი იქ მეტი აღარ დადგმულა... საერთოდ, ადგილობრივი გაზეთები (ბორჯომში 2 გაზეთი გამოდის) საარჩევნო კანონებს ისე სცნობდნენ, როგორც მე აფხაზეთის „დამოუკიდებლობას".

ჩემი რომ სტრიქონი არ გააჭაჭანეს, ჩემი კონკურენტის ქება-დიდება მისი წინაპრებით დაიწყეს (თითქოს ჩემი წინაპარი აღამაჰმად-ხანი იყო)... და მისთვის ხმის მიცემის მოწოდებით დაამთავრეს სწორედ იმ დღეს გავრცელებული გაზეთით, როცა არჩევნები ტარდებოდა და როცა გაზეთის გავრცელება კი არა, კანონით ყოველგვარი პროპაგანდა აკრძალულია, მაგრამ ბერიძის სამფლობელოში როგორც რესპუბლიკურმა გაზეთმა „დრომ" აღნიშნა, კანონი და გრიგალაშვილი მიუღებელი იყო.

ადგილობრივი გაზეთების რედაქტორთა პროპაგანდისტული ნიჭი და შემართება პირდაპირ ხითხითის ხასიათზე მოგიყვანდა კაცს. ისე შემართებით წერდნენ, კურსკის ბრძოლა გაგახსენდებოდათ — ჩვენს უკან სამშობლოა... გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება...

გამოაქვეყნეს საზოგადოებრივი აზრის „გამოკითხვის შედეგები", რომლის მიხედვითაც ყველა ერთხმად ხმას აძლევდა ჩემს მოწინააღმდეგეს...

ვალიკომ იფიქრა, „ობიექტურობისათვის" ერთ ხმას გრიგალაშვილისთვისაც მივაცემინებო და ერთი რესპონდენტი ჩემს სასარგებლოდაც „აალაპარაკა" — თვალს არ ვუჯერებდი: კარგი პიროვნებააო — ჩემზე ასე ეწერა გაზეთში იმ ერთი კაცის „ნაპასუხევიდან"...

ეს ჩვენი ვალიკო ამის გამო კინაღამ მართლა გააუბედურეს...

ბერიძის „შტაბის" ბიჭებმა, რედაქციასთან ახლოს, „სილამაზის ხიდის" ყურეში დაიჭირეს და...

— რა გინდათ, რას მერჩით, ობიექტურობის იმიტაციისთვის ვქენიო, — იყვირა ვალიკომ.

— იმიტაციას გაჩვენებთ, შენო, უბრალოდ დაგეწერა, ხმას ვაძლევ გრიგალაშვილს, „კარგი პიროვნებაა", — რაღა საჭირო იყოო, უთხრეს და მისივე „ბანაკის" ხალხმა ჩემი „მხარდამჭერისათვის" ქეც მიბეთქეს ეს „ანგელოსი" კაცი...

ერთი სიტყვით, იქაური პრესის პროპაგანდის საქმე ისე იყო, როგორც ერთ ისტორიულ სიუჟეტშია გადმოცემული:

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დროს, რუსეთის გაზეთები გამუდმებით იუწყებოდნენ თავიანთი არმიის ძლევამოსილი გამარჯვებების შესახებ. ერთი პარიზელი კორესპონდენტი, ამგვარი ტრაბახა რელაციების შემდეგ ვარიანტს სთავაზობდა მკითხველებს: „გაიმართა დიდი ბრძოლა: თურქებმა დაკარგეს 10000 კაცი. ჩვენთან კი ერთი პატარა კაზაკი დაიბადა".

ვალიკო და ის მეორეც, რომლის ყურადღებას ცოტა ქვემოთ შევაწუხებ, დაახლოებით ასე წერდნენ: „გაიმართება დიდი არჩევნები, რომელშიც ყველა ხმას მიიღებს ჩვენი ფალავანი, გრიგალაშვილი კი მიიღებს მინუს ერთ ხმას"...

ერთადერთი გზა დამრჩა, გამომეცა საკუთარი ერთჯერადი გაზეთი და ამით დავპირისპირებოდი ზემოთქმულ დაართქმულ თაღლითობებს. მაგრამ დახეთ ბედის ირონიას. მამასისხლად ნაშოვი ფულით გამოცემული საკუთარი გაზეთი ბერიძის „ბიჭებმა" გამავრცელებლებს წაართვეს და მტკვარში გადამიყარეს...

ძვირფასო მკითხველო, ეს ხალხი, ყველაფერმა რომ დაუსჯელად ჩაუარა, ამდენი ხნის შემდეგ კიდევ აქეთ მომდგნენ და მეშაირებიან...

ამათ რომ წაწკიპურტების პატარა გაკვეთილი მეც ჩავუტარო, განა გასამტყუნარი ვიქნები?

ისე, ზემოთქმულით რომ ამოწურულიყო „ბერიძეთა" იდეოლოგიური ბრძოლის არსენალი, კიდევ გაუძლებდა კაცი.

დირექტორები,

სამმართველოთა უფროსები,

განყოფილების ხელმძღვანელები,

წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები,

ცეხის უფროსები,

პოლიცია (ამ უკანასკნელის თავში მოხსენიება სჯობდა)...

განათლების განყოფილების ხელმძღვანელი და ა.შ. და ა.შ.

სოფლების გამგებლები

აი, კოჰორტა, რომელთაც რაიონის გამგებელმა გამოუცხადა, რომ გრიგალაშვილის გამარჯვების შემთხვევაში ისინი სამსახურიდან დაიხსნებოდნენ...

ვიცი, ამ სტრიქონებს რომ წაიკითხავს მეკლარნეტ-მეჩონგურე ვაჟა, ხელებს მოიფშვნეტს, ახლა ხომ გაები, პასუხს გაგებინებ, თუ ეს ამბავი არ დამიმტკიცეო, — მე მას ვთხოვ, ცოტა მოთმინება იქონიოს, წერილის ბოლომდე კიდევ მრავალჯერ მივცემ ჩემი „გამოჭერის" საშუალებას და თუ სასამართლოში ჩივილით გამაბედნიერებს, ბო-

გაგრძელება მე-8 გვ.

მეორე გვერდიდან

იმ პერიოდში ჩემი გინება კი იყო მოწინაამდეგეთათვის გასახარელი ამბავი, მაგრამ ჩემი ცუდკაცობა კონკურენტის კაიკაცობის საბუთი რომ არ გახლდათ, ამასაც ხვდებოდნენ...

ამიტომ, მუშაობა მეორე მიმართულებითაც გაიშალა.

შუქი წავიდოდა, გრიგალაშვილმა წაიღოო...

შუქი მოვიდოდა, ქარსელაძემ (ჩემი კონკურენტი გახლდათ მოქალაქეთა კავშირიდან. პრივატიზაციის მინისტრის ყოფილი მოადგილე, მოქ.კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი) მოიყვანაო!

ფქვილი არ იყო — გრიგალაშვილმა შეჭამაო...

ფქვილი მოვიდოდა — ქარსელაძემ მოგიტანათო!

ლიფტი გაფუჭდებოდა — გრიგალაშვილი გააფუჭებდაო...

ამუშავება კი, რა თქმა უნდა, ქარსელაძის „ვალი“ გახლდათ. ოღონდ ამირჩიეთ და ლიფტებს ჩემი ხელით ჩამოგიტანთო, ცხადია, დეპუტატი შეასრულებდა სიტყვას და ახლა ალბათ ბორჯომში ლიფტები სულ ხრიგინ-ხრიგით არბი-ჩამორბიან...

ერთი სიტყვით, თავისით ბორჯომში მხოლოდ მინერალური წყალი ამოდიოდა მიწიდან და ასევე, რატომღაც, ჩემი კონკურენტის დაუხმარებლად მოედინებოდა მდინარე მტკვარი (?)

სხვა ყველაფერი მის სახელთან გახლდათ დაკავშირებული...

ამასაც გაუძლებდა კაცი. რომ არა კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც რბილად რომ ვთქვათ, პოლიტიკური პროსტიტუცია შეიძლება ეწოდოს.

ბატონი ქარსელაძე, ღმერთმა ხელი მოუმართოს და ორჯერადი დეპუტატია. 5 ნოემბერს პარტიული სიით გახდა დეპუტატი, შემდეგ კი მაჟორიტარული წესით „აირჩიეს“...

მისი პარტიული სიით გასვლა პირდაპირ პოლიტიკური ავანტიურის საფუძვლად იქცა. კერძოდ, სასწრაფოდ ხმა დაყარეს: ქარსელაძე შევარდნაძემ დაიბარა და უთხრა: პირველივე ტურით რომ ვერ მოიგე არჩევნები, უნდა დაგსაჯო, პარტიული სიით შენი ადგილი ჯაიანს უნდა დაუთმო, შენ კი, რადაც არ უნდა დაგიჯდეს, გრიგალაშვილი უნდა დამიმარცხო. მაგის დუხი არ ვნახო პარლამენტშიო...

ამას მთელი რაიონი ლაპარაკობდა. გამგებელი კვერს უკრავდა, დეპუტატობის კანდიდატი კი მორცხვად იმეორებდა — კი, ადგილი სხვას დავუთმეო.

კაცს საკუთარი წარმატებისათვის სჭირდებოდა ეს ცრუპენტელობა, ამიტომ არ ვედავები, მის სინდისზე დარჩეს. (სხვათა შორის ეს ტყუილი ოდნავ მოდერნიზებული სახით, გაზეთშიც კი გამოაქვეყნა ზედ არჩევნების დღეს?!)

მე ამ გამგებლისა გამკვირვებია. სიით 27-ემ სიით 91-ეს, ანუ ქარსელაძემ ჯაიანს, (თანაც ისიც სიით იყო გასული) ადგილი დაუთმოსო, ამას როგორ იტყოდა პრეზიდენტი. ეს რომ **არ შეიძლება**, როინ ლიპარტელიანმაც კი იცოდა და ბატონ ედუარდს რატომ უტეხავდნენ სახელს უნებლიედ, ცოტა არ იყოს გაუგებარია...

მაგრამ მთავარი სხვა რამ გახლდათ.

ბორჯომის რაიონი, თავის დროზე, მოგეხსენებათ „მხედრიონის“ ბუდე იყო, ამ ორგანიზაციის ალაგმვის შემდეგ შევარდნაძის ავტორიტეტი ბორჯომში იმდენად დიდი გახლდათ, რომ მისი სახელით პრივატიზაციის მინისტრის მოადგილე ქარსელაძე კი არა, ჩემი ყვიბისელი მეგობარი, მასწავლებლებს რომ პირველი კლასიდანვე უშრობდა სისხლს, ჩემი გადამკიდე აწ უკვე ალბათ უმუშევრად დარჩენილი დევიკო ქორიძეც გახდებოდა დეპუტატი... ჰოდა ეს ზღაპარიც ამიტომ შეითხზა, შევარდნაძეს გრიგალაშვილი თვალის დასანახავად არ სდომებია, ქარსელაძე კი მისი კაცი ყოფილაო...

ასე დამიპირისპირეს მე უბედურს მე-2 ტურში მთლად საქართველოს პრეზიდენტი. ახლა იმასაც თუ მოგახსენებთ, ზედ არჩევნების დღეს, როგორც კი დაღამდა, სულ რომ ჩააკუნაპეტეს მთელი რაიონი, მაშინ, როცა წინა დღეებში სინათლე მშვენივრად ჩახჩახებდა ყველგან, ადვილი წარმოსადგენია...

ზედ იმასაც თუ დავურთავთ, საარჩევნო ყუთებთან მილიციელები რომ ჰყავდათ ყაყაჩოებივით ჩამწკრივებული, იოლი გასაზრებელია, თუ რა ჰქნეს, როგორ ქნეს და ვითარ კანონიერად ჩაატარეს ბორჯომში არჩევნები იმ ადამიანებმა, რომელნიც ყოველივე ამის შემდეგ ასე მეშაირებიან —



„ბოროტსა სძლია კეთილმან

სიმართლის ნერგმა იხაროსო“

ზემოთ ვამბობდი, მე ამ არჩევნებზე ალარაფრის მთქმელი და დამწერი არ ვიყავი. მაგრამ რაკი არ მომეშვენ, რაკი ბოროტი უძლევია კეთილს, ხოლო მათი აზრით „ძლეული“ ანუ „ბოროტი“ მე ვარ, ამათ გავაბოროტებ ახლა კარგად.

## ორის ორგანო

ბორჯომში, როგორც გითხარით, 2 გაზეთი გამოდის. ერთს ჰქვია „ბორჯომი“, მეორეს „ბორჯომის ხეობა“. პირველს ლომიძე რედაქტორობს (ზემოხსენებული ვალიკო), მეორეს კი ცუცქირიძე.

როგორც ერთგან, ისე მეორეგან მშვენიერი ხალხი მუშაობს, მაგრამ გაზეთი „ბორჯომი“ ეს იგივე მისი რედაქტორი ლომიძეა. გაზეთი „ბორჯომის ხეობა“ კი იგივე მისი რედაქტორი ცუცქირიძე გახლავთ. რაკი გაზეთის სახელწოდებები ძალიან ჰგავს ერთმანეთს, ერთურთში რომ არ აგერიოთ, ამ გაზეთების სახელწოდებათა ნაცვლად, მათი რედაქტორების გვარებს მოვიხსენიებ.

ლომიძე ოფიციალურად არავის ორგანო არ არის, არაოფიციალურად კი იმისია, ვინც ფულს გადაიხდის...

ცუცქირიძე „ბორჯომის საძმოსა“ და რაიონის გამგეობის, იგივე რაიონის გამგებლის ფასდაუდებელ ორგანოს წარმოადგენს.

მისი მაგრად დგომა გამგებლის გუნებაგანწყობაზეა დამოკიდებული და რაკი ეს იცის, იმ შაირშიც ისეთი სიმღერებია გაბმული, გამგებელს რომ გუნებაზე მოიყვანს.

ვიდრე რობერტ ცუცქირიძის „პოემას“ გაგაცნობდეთ, ბარემ ისიც ვთქვათ, თვითონ გამგებელი ვინ არის და რა სულიერი გახლავთ...

## როდიონოვის მემკვიდრე

დიახ, ავადსახსენებელმა როდიონოვმა ვაჟა, იგივე ლექსი ბერიძე ყველაზე საყვარელ კაცად დასტოვა საქართველოში. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, როდიონოვის, 9 აპრილის ამ სისხლიანი ჯალათის წარმატებისათვის, სწორედ ლექსო იკლავდა თავს. სწორედ იგი გახლდათ როდიონოვის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ბორჯომის საარჩევნო ოლქში, როცა ეს ჯალათი სსრკს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გახდა...

საქართველოში ასეთი „მშვენიერი“ წარსულის კაცი მეორე არ დადის. ჩემდა საუბედუროდ, მაინცდამაინც ის აღმოჩნდა ჩემი მშობლიური რაიონის გამგებელი...

ვაჟა ბერიძე, როგორც მტკიცე ლენინელი 30 წელსაც არ იყო გადაცილებული, როცა ბორჯომის რაიკომის პირველ მდივნად აკურთხეს, მას შემდეგ ყველაფერი შეიცვალა, მისდა „სასახელოდ“ უნდა ითქვას, რომ იგი არ გამოცვლილა, დღესაც სოციალისტად დარჩა და რაიონის სოციალისტური პარტიის თავმჯდომარედ დასვა ვახტანგ რჩეულიშვილმა, მისივე რეკომენდაციით კი შარშან ისევ გამგებლად მოევლინა რაიონს.

ესეც ჩემი ბედი ყოფილა, სოციალისტებს ერთადერთი გამგებელი ჰყავთ და ისიც ჩემს მშობლიურ რაიონში.

რაიონში ამ კაცის „დიდ გავლენაზე“ მიუთითებს ის ფაქტი, რომ, მიუხედავად იმისა, რომ მართლა იკლავდა თავს 5 ნოემბრის არჩევნებში სოციალისტური პარტიისათვის და 80 პროცენტის მოპოვების ბრძანება ჰქონდა გაცემული, პირწმინდად ჩაფლავდა... (ეს ამბავი არ გაგიკვირდეთ, ბერიძე მთელი ცხოვრება ორ სკამზე იჯდა. ახლაც ასე მოიქცა, მოქალაქეებს მხარი იმით დაუჭირა, რომ მათი მაჟორიტარი დეპუტატისათვის იკლავდა თავს, სოციალისტებს კი პარტიული სიის გამარჯვებაში ეხმარებოდა)...

ბატონი ვაჟა, მართალია, მტკიცე ლენინელი და სოციალისტია, მაგრამ კაპიტალიზმის მოთხოვნებს მშვენივრად აულო ალღო. იმდენად მშვენივრად, რომ ამ ორიოდე კვირის წინ ბორჯომის მცხოვრებლებმა აქცია გაუმართეს, ცოტა ჩვენც მოგვხედე, შენი ბელადი ლენინი აკი პროლეტარებზე ზრუნავდაო... პროლეტარ-გაჭირვებულებზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩვენი ვაჟა თუ ლექსო საკუთარ მოსასწრებს ნამდვილად ასწრებს. იცის, ადრე თუ გვიან ადგილობრივი მმართველობის არჩევნები ჩატარდება, მოტყუებული და გამწარებული ხალხი მისი ამრჩევი არ არის და ასწრებს. საცა კაი შენობა და ნაგებობა ნახა, „გააპრიხვატიზავა“...

ქალაქის ცენტრში მდებარე სამსართულიან შენობასაც „პრიხვატიზაცია“ უყვეს, საცა გლეხი დადგება, ცალ ფეხზეც რომ იდგეს პაწაწა ადგილზე, თითო ლარი უნდა გადაიხადოს. სად მიდის ყოველდღიურად ასე უბრალოდ აკრეფილი ასობით და ათასობით ლარები?

ბერიძეს რომ ჰკითხოთ: „მე ბორჯომში ფულის საკეთებლად არ ჩამოვსულვარო — ვკითხულობთ გაზეთ „დვრიტაში“ გამოქვეყნებულ მის ინტერვიუში 1995 წ. №4, დეკემბერი) — ამ მხრივ ჩემი ოჯახი ნორმალურად არის, რადგანაც ბოლო ხუთი წელი ბიზნესში ვმუშაობდი და საკმაოდ წელგამართულადაც ვცხოვრობდი. ბორჯომში ჩემს დაბრუნებას სულ სხვა ინტერესი ჰქონდა, იცით, ჩემს თაობაში არის ისეთი ამბ, **რომ დღეს უკვე ვერ მიატოვებ საქართველოს ვილაც უჭკუო კაცის მმართველობის დონეზე**, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მე მოვწყდი ბიზნესს და გამგებლის კუთვნილი 6 ლარით ვაპირებ ოჯახის შენახვას“.

კაცი ვარო, ამ მეჩონგურე ლექსომ უნდა თქვას, ხუთი წელი ფული უკეთებია, ახლა კი ვეღარ ტოვებს „საქართველოს ვილაც უჭკუო კაცის მმართველობის დონეზე“. ის რომ გავუშიფრო, რა თქვა, რა დაწერა ამ შეჩვენებულმა, ტირილს დაიწყებს, მე ეგ ფიქრშიაც არ მომსვლიაო... ბორჯომის მმართველობის დონეზეო, ასე მაინც ეთქვა, მაგრამ, საქმეც ის არის, რა თქვა და რა დაწერო, ამას დონე უნდა, დონეს კი, იმ ასაკში, როცა როდიონოვს დასდევდა ვაჟა ბერიძე, წიგნების წაკითხვა სჭირდებოდა...

ბერიძისაგან განსხვავებით, სრულიად არ მეპარება ეჭვი ორი კაცის განათლების დონეში. სახელმწიფო მოღვაწეობასთან ერთად ერთიც მეცნიერებათა კანდიდატი გახლავთ და მეორეც. სწორედ მათ მინდა მივმართო — პრეზიდენტთან არსებული ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელს ბატონ თემურ ფიფიას და სამცხე ჯავახეთში პრეზიდენტის რწმუნებულს ბატონ გიგლა ბარამიძეს.

ბატონო თემურ!

ბატონო გიგლა!

ვაჟა ბერიძეს, რა თქმა უნდა, იმდენი ჭკუა აქვს, რომ ყოველი მეორე პრივატიზებული ობიექტი ბორჯომში თავის სახელზე არ გაიფორმოს, მაგრამ თუ როგორ ესმის მას ბიზნესისგან არ მოწყვეტა და გამგებლის მართლაცდა კურიოზულად მცირე ხელფასის დაწუნება, მარტივად შეგიძლიათ შეიტყოთ.

ორივენი ახალგაზრდები ბრძანდებით, ნუ დაიზარებთ და ბორჯომის ქუჩებში ფეხით გაიარ-გამოიარეთ, რომელ პრივატიზებულ ობიექტსა და დახლსაც მიადგებით, იკითხეთ, ვისიაო.

გეტყვიან — ჩემ და ჩემი ძმისიაო.

იკითხეთ, — შენი ძმა ვიღააო.

გეტყვიან, — ჩემი ძმა ვაჟა ბერიძეაო...

იმ კოხტა სამსართულიანსაც თუ ჩაუვლით, ქალაქის ცენტრში რომ წამოჭიმულა და შიგნით ასკინკილად ფეხზე მდგარი ვაჭრისთვის ადგილი 1 ლარი ღირს,

კითხვაზე ეს უზარმაზარი შენობა ვისია?

შეიძლება ასეთი პასუხიც მოისმინოთ:

„სახელად ჩემია, სახრავად სხვისია“...

სახრავად ვისიც არის, ამის დადგენა არ გაგიჭირდებათ, ჰკითხეთ ნებისმიერ გამვლელს...

ბატონო თემურ, ბატონო გიგლა, თუ ამ მისვლა-მოსვლაში ჩემს სიმართლეში დარწმუნდებით, წესით ის ხმებიც უნდა გააქარწყლოთ, მოსახლეობაში რომ დაყარა გამგებელმა, თითქოსდა ერთ დიდ კაცთან შინაურული ურთიერთობის გამო, ხელშეუხებელი ვარო: ანუ ეგ „ბიზნესს გადაყოლილი“ ხალხის „ლიდერი“ შესაფერის ადგილზე უნდა განამწესოთ...

თუ ჩემსას არ ისმენთ, რა გაეწყობა, გყავდეთ ეს როდიონოვის მართვე, რაღაცაში ეგეც ვარგა, მაგალითად ყოველდღე მაგრად უკრავს და მგონი დღეში 2-ჯერ მღერის... ოღონდ დიდი აკაკის სიტყვებიც არ დაივიწყოთ: მეფე (ამ შემთხვევაში გამგებელი) რომ პიი-პუუს დაიწყებს, ქვეშევრდომნი ვაი-ვუის შემოსძახებენო...

## შაირ სიტყვითა მესტვირე

ახლა კი დროა იმ „ბრწყინვალე“ „პოემას“ მივადევნოთ თვალი, რომლითაც ცუცქირიძეს არჩევნებში გამარჯვებული, ან უკვე პარლამენტის დეპუტატი „გაუბედნიერებია“ და რომელიც საუკეთესო სამხილია იმ უკანონობებისა, რაც ამ ვაჟბატონებმა ჩაიდინეს. ამ პოემის „ნიჭიერმა“ ავტორმა

გაგრძელება მე-4 გვ.

# რამ გაუმხნევათ არ ვიცი, ამ უბედურებს გულები...

მესამე გვერდიდან

თავის ადრესატსაც თავი მოჰრა და მთელი მისი გუნდიც იმ კაცის მდგომარეობაში ჩააგდო, ერთი ხელით მტერს რომ ემუქრება, მეორეს კი გულმოდგინედ იცემს საკუთარ ცხვირ-პირში.

ცუცქირიძის „პოემა“ ალბათ აუცილებლად შევა ქართული ლიტერატურის „ოქროს ფონდში“ და ლიტერატურის მომავალი ისტორიკოსი ასე განიხილავს: „პოეტი“ რობერტა ცუცქირიძე თავის პანეგირიკულ ოდას იწყებს შემდეგი შთამბეჭდავი სტრიქონებით. „პოეტი“ დეპუტატ ქარსელაძეს მიმართავს:

**„ახდა ასრულდა ოცნება**
**გაქვს პარლამენტის საგზური“.**

მომავლის შემოქმედს, — რობერტ ცუცქირიძეს, ვთხოვ, ცოტა ხნით გამოფხიზლდეს ოცნებებიდან და ვაჟა ფშაველას ეს ლექსი გაიზუთხოს, ვინძლო ხშირად გაუმეოროს საკუთარ თავს:

„ქრთამი ვაძლიე მუზასა,
ერთხელ მაინცა მნახევი,
არ იქნა ვერ მოვისყიდე,
თვალით ვერ დავინახევი,
სხვად ყოველი მხრით კარგი ვარ,
მხოლოდ არა ვარ მგოსანი,
მარტოკა ეს-ღა მაკლია,
ბიჭი ვარ პატიოსანი“.

თავიდან ყველაფერს კარგად ამბობდა ჩვენი რობერტი, სამართლიანად აღიარა, არა ვარ მგოსანიო. მერე კი მაინც მოიტყუილა. ისე მამა გიცხონდა, შენ რომ პატიოსანი კაცი ხარ. პატიოსანი დაწერდა ამ სტრიქონებს?

„ჟორა დიდ მინდორს მიადგა,
კოკინაკს ჭინო ამქარით,
გურამიშვილზე ვალერიმ,
ააგიზგიზა ხანძარი,
**შესძახეს ხმები მოგვეცით,**
**თუ არ გსურთ განახოთ დამწვარი“...**

არ ჩაუშვა ამ შექანებულმა „პატიოსანმა“ ამდენი დირექტორი და ხელმძვანელი მუშაკი? არჩევნების დღეს ხალხს თუ „სახანძრო რაზმის“ ხელმძღვანელობა დაწვითაც ემუქრებოდა, ეს ნამდვილად არ ვიცოდი...

ვალერი რომ ასანთ და ბენზინმომარჯვებული დასდევს ამომრჩევლებს, ამას თვალნათლივ ვხედავ და იმასაც ვხვდები, რატომ აუბედურებს ამ უბრალო ხალხს, მაგრამ, ამ ჟორას (ისიც ხელმძღვანელი მუშაკია) დირექტორ კაცს, რა ლაკარგვია, რას დაარბენინებს „პოეტი“ უკაცრიელ დიდ მინდორში, ეს „მტრის“ ბანაკიდანაც ვერ ამიხსნა ვერა კაცმა...

შედარებით ნორმალურად იქცევა თამაზი. მართალია საარჩევნო კანონს არღვევს და არჩევნების დღეს ჯიქურ ექაჩება ხალხს საარჩევნო უბნებისაკენ, მაგრამ მის ხელში ვერც ასანთს ვხედავთ, ვერც ბენზინს და არც გახსნილი ლიმონკა უჭირავს ამ კეთილშობილ კაცს:

„გოგიას ციხის უბნელებს
ჯიქურ მიეჭრა თამაზი
ადექით, რაღას ზოზინებთ
ხომ არ გგონიათ თამაში
სუყველა წამოიყვანეთ
მზია, ლია თუ მალხაზი...“

აი, გივი გონგლაძე კი ვერ მოქცეულა კორექტულად. მართალია, გამგებლის ბრძანება ჰქონდა, ვლადიმერ ქარსელაძე უნდა გავიყვანოთო, მაგრამ ეს ამბავი მთელი რაიონის ამოწყვეტად უღირდა ამ კაი დედმამიშვილს? ნახეთ რა დამზაფრავად ხატავს პოეტი მოვლენებს:

„პურის ქარხნიდან გონგლაძე
გივიმ ატეხა განგაში
**თუ ვოვას ხმები არ მისცეთ**
**პურს არ გავგზავნი ქალაქში**

**ოთხ წელს უპუროდ დარჩება**
**სოფელიცა და ქალაქიც“**

ღმერთს მადლი, ღმერთს მადლი, რომ ბატონ ვოვას ერგო ეს წყეული დეპუტატობა და არა მე, თორემ მომ ამომიწყვეტდა ეს შეჩვენებული შიმშილით მთელ რაიონს. ვიღას დეპუტატი ვიქნებოდი? დათვების და ნაკრძალში შემორჩენილი ორიოდე ირმის...

„ჩითახევჰესში ბობოქრობს
გელაშვილების ბოკვერი: — აგრძელებს პოემას ბატონი რობერტი, რომელიც ისეთ რამეს იტყვის ახლა, ეჭვიც აღარ მეპარება, რომ იგი „მტრის“ ბანაკში იყო შეპარული, რათა ჩემთვის ცნობები მოეწოდებინა. დიახ, „ჩითახევჰესში ბობოქრობს
გელაშვილების ბოკვერი
**თუ არ მივიღეთ ის ხმები**
**რასაც ამ ტურში მოველით**
**ნოეს ვავალებ უშუქოდ**
**დატოვოს ყველა სოფელი“.**

აქ კი მინდა ვისარგებლო შემთხვევით და უმორჩილესად ვთხოვო ბატონ ნოეს:

ნოე, შენი სახელის ჭირიმე, ნოე, ხომ მოიგეთ ის არჩევნები. რას ერჩი ჩემს სოფელს. ათასობით ნოლი ყვიბისში არ მომიგია. გავაყალბე, ჩემს თავზე ვიღებ, არავის მოუცია იქ ჩემთვის ხმა, რა გინდა, კაცო, რას ერჩი იმ ხალხს, მიეცი შუქი, ადამიანი არა ხარ?

ძვირფასო მკითხველო, ეს ამბავი ხუმრობა არ გეგონოთ, ვინც ბორჯომში მოხვდებით, გაიხედ-გამოიხედეთ და შეამჩნევთ, ყველგან რომ ილიჩის ნათურები აკიაფდება, ერთადერთ ჩაბნელებულ სოფელს დაინახავთ ყვიბისს, რომელიც არჩევნებიდან დღემდე ისჯება მხოლოდ იმისთვის, რომ იმ სოფელში დაიბადა და გაიზარდა თქვენი მონა მორჩილი და იქ ამ ჩიტირეკიების ხვეწნა - მუდარამ არჩევნების დროს არ გასჭრა...

„ახალშენს შაქარს პირდება
კაჭკაჭიშვილი რეზიკო...
დამტკბარი ამომრჩეველი
ნაღდად იმღერებს სულიკოს“

ეს ის კაჭკაჭიშვილი რეზიკო გახლავთ, ჩემი გაზეთები რომ მტკვარში გადაყარა და ერთადერთხელ თავზე ხელი მეც ამაღებინა ანუ იმავე საღამოს რეზიკოს „ტკბილი სულიკო“ გაისმა, ოღონდ სლუკუნსლუკუნით „ნამღერი“...

მე რომ თბილისიდან ჩატანილ გაზეთებს მტკვარში მიყრიან, ბორჯომში რა ხდება არ გაინტერესებთ?

„ბორჯომელ პოლიგრაფისტებს
გეგმა გააცნო ანულიმ
ვოვას რეკლამის შექმნისთვის
ვიყოთ ფერხულში ჩაბმულნი
ლამაზი შრიფტი მოვძებნოთ
მარგალიტივით ასხმული“

დამავიწყდა მეთქვა, არჩევნების დღეს მარტო შიშს როდი სთესავდნენ ასანთითა და ბენზინით მორბენალი აგიტატორები, საარჩევნო უბნებთან ახლოს, ოძელაშვილივით სუფრებიც გადაფინეს. „ეს იმ კაცს გაუმარჯოს, იმ „ბუტკაში“ რომ შევა, გრიგალაშვილს გადახაზავს, ქარსელაძეს კი შემოხაზავსო“ — „ხმა მიეცით ვოვასა“ — რეფრენს იტყოდა თამადა და შესვი, გაამოსო.

მოკლედ, მხიარული დღე იყო... ამასთან დაკავშირებით „მტრის“ ბანაკში შეპარული პოეტი დამატებით ცნობებსაც გვაწვდის, რომელიც დღემდე ჩემთვისაც უცნობი იყო.

ბორჯომი, მოგეხსენებათ, საკურორტო ქალაქია და მრავალი უცხო მანდილოსანი ჩამოდის, დანარჩენი წარმოიდგინოს ამ სტრიქონების მკითხველმა:

„ვინც ხმებს ჩვენ მოგვცემს ერთგულად
ვეპატიჟები ნადიმზე
ირმის მწვადებსაც მოგართმევთ
ორ შამფურს თითო საინზე
**ტურისტებითაც მოგხიბლავთ,**
**გპირდებათ სოსო სვანიძე...“**

ოქვე შეჩვენებულებო, ამდენ ჩხუბსა და დავიდარაბას, ჩემთვისაც დაგეძახათ, ორი ჭიქის მერე, ზედ „ტურისტებსაც“ თუ მოაყოლებდით, სულ გაჩუქებდით ამ დეპუტატობას და ამდენ ზარალს ავაცილებდი თქვენს ოჯახებს...

მაგრამ არ არის ეს ის ხალხი, ვისთანაც ერთი წუთითაც კი სიფხიზლის მოდუნება შეიძლება. აგერ სოსო სვანიძე, ლაღი და პურისმჭამელი კაცი, თუ გაბედნიერებას პირდება ამომრჩევლებს, განათლების განყოფილების გამგე, ზაურ ქურდაძე, გაუბედურებით იმუქრება:

„სასკოლო ზარის წკრიალით
ხალს უხმობს ზაურ ქურდაძე
ვინც ხმას არ მოგვცემს სუყველას,
უარი ეთქვას ხურდაზე,
**მათ ბინას დღით და ღამითაც**
**ქურდბაცაცები ქურდავდნენ...“**

მადლობას ვწირავ ბატონ „პოეტს“ ამ სინდისგარეცხილი კაცის ზუსტი პორტრეტის დახატვისათვის, შუქიო, შაქარიო, პურიო, ახლა ბინების გაქურდვითაც ემუქრებიან ამომრჩევლებს... ესეც არაფერი. ღვთისმორწმუნე კაციც თუ სულ გადაირეოდა და ადამიანებს ანათემას გადასცემდა, მხოლოდ ჩემი მხარდაჭერისთვის, ამას ნამდვილად აღარ ველოდი:

„ავთანდილ ჯავახიშვილმა
პარკში აანთო სანთელი
ღმერთო ხმები ვინც დაგვაკლოს
დღე არ აღირსოს ნათელი
მოკვეთილ იქნას პარკიდან
მისი გვარი და სახელი“.

საბედნიეროდ ბორჯომში ღირსეული სასულიერო პირები მოღვაწეობენ, ეტყობა ამ ვაიმორწმუნე პროპაგანდისტმა მსგავსი აზრებით ეკლესიაში შესვლა ვერ გაბედა და სანთელი პარკში დაუნთია. როგორი წარმოსადგენია ბუჩქის ძირას ჩაჩოქილი მამაკაცი ანთებულ სანთელთან რომ იწყევლება

„ღმერთო ხმები ვინც დაგვაკლოს
დღე არ აღირსოს ნათელი
მოკვეთილ იქნას პარკიდან
მისი გვარი და სახელიო“...

ამნაირი „ხუცესის“ დანახვაზე ბორჯომის უმაღლეს სასულიერო პირს, მართლა წმიდა კაცს, დარწმუნებული ვარ, ვაჟას სიტყვები გაახსენდებოდა:

„ასეთ „მორწმუნის“ ჯავრი მაქვს
ამათ ქცევის და ხრიკისა...
ვინც მღლორედაც არ ვარგა
ვაგლახ ხუცესად მიდისა...“

თითქმის გასრულდა ეს ამბავი. ბოლო ყველაფერს კარგი აქვს.

„ბოროტსა სძლია კეთილმან“
ანუ მე დავმარცხდი და ქარსელაძემ „გაიმარჯვა“
„დამშვიდდა ბორჯომ-ქალაქი
ჰყავს პარლამენტში „რჩეული“
და რაც მთავარია:
„გამგებელ ვაჟა ბერიძეს
გული საგულეს ჩაუდგა“

თქვენ აგაშენათ ღმერთმა, ამომრჩევლებო, ეს კრავივით კაცი რომ დააწყნარეთ და ინფარქტი არ მიაღებინეთ. მის უბედურებას მისი მოადგილეები ვერ გადაიტანდნენ, ამიტომ

„იზოც დაწყნარდა, მამუკაც
რადგან სურვილი აუხდათ“

მაინც რა შიშიფეთება ჰქონდათ ასეთი ჩემი გადეპუტატების შემთხვევაში გამგებელსა და მის ნაზირვეზირებს ლამის გახსნილი ხელყუმბარებით რომ დარბოდნენ ქუჩა-ქუჩა: თავს ავიფეთქებთ და თქვენც დაგწვავთ, თუ გრიგალაშვილისთვის მიგიციათ ხმაო?

პოემის ფინალი ყველაფერს ფარდას ხდის. აბა კიდევ ერთხელ ჩავუკვირდეთ ამ სტიქონებს:

„გამგებელს ვაჟა ბერიძეს,
გული საგულეს ჩაუდგა,
იზოც დაწყნარდა, მამუკაც,
რადგან სურვილი აუხდათ,
**იციან რომ მათ ქომაგად**
**ძლიერი კაცი დაუდგათ“**

მე რომ „როდიონოვის მართვეს“ ქომაგი არ ვიქნებოდი, აბა ამას რა ლაპარაკი უნდა, არადა, ვაჟა ბერიძეს რომ ქომაგი სჭირდება, არც ეს არის სათუო საქმე, ახსოვს ის დღეები ყოფილ რაიკომის მდივანს, როგორც კი საკუთარი ჭკუის ამარა დარჩა, რაიკომის მდივნობის ბოლო პერიოდში, ყველა, ვისაც არ ეზარებოდა, საკუთარ კაბინეტში, თავში რომ წაუბილიკებდა ხოლმე.

ამ კაცის მარტო დატოვება არ შეიძლება. ხომ ხედავთ, ჩემო ვლადიმერ, პატარა ხანს ვერ მოიცალე ბორჯომში ჩასასვლელად და ბერიძის ორგანოში იმნაირი სისულელე დაიბეჭდა, მტერი არ გიზამდა მაგას.

სხვათა შორის, ასე იცის უსაფუძვლოდ გაამაყებულმა კაცმა. ბერიძეს ასე ჰგონია, იმ დიდი კაცის შიშით, ვითომ მის სიმამრთან რომ მეგობრობს, ყველა ბოქლომს დაიდებს პირზე.

იმ დიდ კაცს, მართლა ბევრი რამ შეუძლია, მაგრამ ამ შესაძლებლობების რეალიზაციას არა მგონია იმაში ხედავდეს, როგორ უპატრონოს ერთ ჩიტირეკია გამგებელს...

რაც შეეხება „ბრწყინვალე“ „პოემის“ ავტორს ბატონ რობერტ ცუცქირიძეს: ბატონო რობერტ, რაკი ლექსები გყვარებია, ჩემს წერილსაც, დასაწყისის არ იყოს, ლექსით დავასრულებ. ცხადია, ეპიგრაფსა და ბოლოთქმაში „ლომის“ ხსენების გამო ერთგვარ უხერხულობას ვგრძნობ, მაგრამ, ცოტა ჩემს თავსაც ხომ უნდა დავცინო. თქვენთან ბაასით რომ ამდენ დროს დაკარგავს კაცი, სწორედაც სასაცილოა. ამდენად, იქ, სადაც ტურებია ნახსენები, შეგიძლიათ პირდაპირი მნიშვნელობით მიიღოთ, სადაც ლომია ნახსენები, შეგიძლიათ ივარაუდოთ თვითირონიად, მხოლოდ არა თქვენთან მიმართებაში... მაშ ასე:

„ტურებო, ჩხავანეებო,
ეს უნდა იღოთ ყურადა
გირჩევთ თქვენს ქერქში ეხვიოთ
ლომს ნუ ეპყრობით მტრულადა;
ლომი დარჩება ლომადა
და თქვენ კი ისევ ტურადა“...

# გამოაქვეყნეთ!

## ანუ
## სადღეისოდ საჭირო მოწოდება-ლოზუნგი

უშიშროების ყოფილი შეფის იგორ გიორგაძისაგან, ამ პრორუსული ორიენტაციის კაცისაგან კარგი რომ არაფერი იყო მოსალოდნელი, ეს კი ვიცოდი, მაგრამ ასეთი მასშტაბის სახელმწიფოებრივ დამანგრეველ საქმიანობას თუ ეწეოდა, მაინც ვერაფრით ვერ წარმოვიდგენდი!

— 52 ხიდის, 122 რკინიგზის ხაზის, 56 მაღალი ძაბვის ანძის, ნავთობსადენებისა და აირსადენების აფეთქებები, ტერორისტული აქტები... მოკლედ, KГБ-ს ეს რეზიდენტი და მისი სამსახური ჩრდილოელთა დავალებით საქართველოს სახელმწიფოებრიობის ჩანასახშივე ჩაკვლისათვის იღვწოდნენ, მაშინ როდესაც, პირიქით, უშიშროების სამინისტრო უნდა ყოფილიყო მისი ფხიზელი დამცველი, სახელმწიფოს თვალი, ყური, ფარი და მახვილი...

თუ უშუალოდ უშიშროების ეს შეფი და მისი გარემოცვა ამ მასშტაბის ძირგამომთხრელ და დამანგრეველ საქმიანობას ეწეოდა საქართველოს სუვერენიტეტის საერთაშორისო აღიარების შემდეგაც კი, მაშინ ძნელი აღარაა იმის წარმოდგენა, თუ რას აკეთებდნენ უცხო ქვეყნის ეს სპეცსამსახურები 9 აპრილამდე და მის შემდეგ. რა როლი მიუძღვით მასი საქართველოს დაქცევისა და გაპარტახებაში.

ეს ახლა აღარაა ძნელი წარმოსადგენი!

ადრე კი...

მაინც ობიექტურობისათვის მინდა აღვნიშნო, რომ ჩემს პუბლიცისტურ წერილებში მე არასოდეს დამიკნინებია სუკის აგენტების გამთიშველ-ძირგამომთხრელი და გამხრწნელი მოქმედება ეროვნულ მოძრაობაში, მაგრამ მათ როლს მაინც მეორე ადგილზე ვაყენებდი ეროვნული მოძრაობის ამბიციებით შეპყრობილ ლიდერთა დესტრუქციული საქმიანობის შემდეგ და პირველყოვლისა სწორედ ამ ლიდერებს ვაკისრებდი პასუხისმგებლობას საქართველოს დაქცევისათვის (იხ. გაზ. „იბერია სპექტრი" №123, „საქართველო" №1417, „ბედი ქართლისა" №2, №3, „მსგეფსი" 23.X—95).

თურმე როგორ ვცდებოდი...

ეროვნული მოძრაობის ამბიციებით გაფუყული ეს ლიდერები თურმე მხოლოდ უბრალო ტიკინები, ჩუჩელები ყოფილან ყოვლისშემძლე და ყოვლისწარმმართველ სუკის აგენტურის ხელში.

1. ეგზისტენციალისტები და ბებერი ჰეგელი

ახლაღა ვხვდები, რომ ჩემი ეს შეცდომა უფრო ღრმა მსოფლმხედველობრივი ცდომილების შედეგი ყოფილა.

თანამედროვე ეგზისტენციალისტური ფილოსოფიით გატაცებულს, მე უბედურს, ჟან პოლ სარტრისა და სხვათა გავლენით მეგონა, რომ პიროვნების საწყისი და ფუძე თავისუფლებაა და, მაშასადამე, არ არსებობდა არავითარი გარეგანი ძალა, რომელიც ადამიანს არჩეული გზიდან გადაახვევინებდა. მავიწყდებოდა კი ჩვენი ტოტალიტარული საზოგადოებრივი სინამდვილე და არ ვუჯერებდი რაციონალისტი, ბებერი ჰეგელის შეგონებას პიროვნულ-ინდივიდუალურ ცნობიერებაზე მსოფლიო გონის აღმატებულობასა და ყოვლადძლიერების შესახებ.

კონკრეტულად ინდივიდისა და გონის (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პიროვნებისა და სახელმწიფოს) ურთიერთობა ჰეგელს ასე წარმოუდგება: ინდივიდები ცხოვრებას თავიანთ პირად მიზნებს, მისწრაფებებსა და ვნებებს უკავშირებენ, მათი რეალიზაციისათვის იღწვიან, მაგრამ ის, რაც მათი ამგვარი მოქმედების შედეგად მიიღწევა, წარმოადგენს თავად მსოფლიო გონის, აბსოლუტური სულის განზრახვათა აღსრულებას და სრულიად საპირისპიროა იმისა, რისკენაც ისინი ილტვოდნენ. ჰეგელი მსოფლიო გონის ამგვარ მოქმედებას უწოდებს „გონების ცბიერებას", „ეშმაკობას". ე.ი. ინდივიდთა ხელით, მათი ურთიერთბრძოლის გზით კეთდება მსოფლიო გონის, სახელმწიფოს საქმე (სახელმწიფოს ჰეგელი განმარტავს როგორც „კონკრეტულად რეალიზებულ მსოფლიო გონს").

აქ ყველაფერი რიგზეა: ინდივიდების ცნების ქვეშ ვიგულისხმოთ ჩვენი ამბიცური ლიდერები, მსოფლიო გონისა თუ სახელმწიფოს ქვეშ კი ჩრდილოელი მეზობელი და მისი მრავალრიცხოვანი აგენტურა. ოღონდ განსხვავება ისაა, რომ თუ ჰეგელთან მსოფლიო გონსა და სახელმწიფოს

გა-მო-აქ-ვეყ-ნეთ

უკეთილშობილესი და უდიადესი მიზანი — თავისუფლების რეალიზაცია ამოძრავებს, უცხო ქვეყნის აგენტურა საქართველოს დამონებისათვის იღწვის...

2. საფუძვლიანი ოპტიმიზმი

მიუხედავად ყველაფრისა, სუკის ყოფილი შეფის საქმიანობის გამომზეურებამ, ნუ გაიკვირვებთ და, უფრო ოპტიმისტურად განმაწყო.

თურმე ჩვენს (დიახ, ჩვენს, ბრჭყალების გარეშე!) უშიშროების სამსახურში უცხო ქვეყნის აგენტურის საწინააღმდეგო, საპირწონე ძალაც არსებულა, რომელიც მართალია მის დამანგრეველ საქმიანობას ჯერჯერობით ვერ აღკვეთს, მაგრამ ამხელს მაინც.

ესეც დიდი საქმეა!

აგერაა, ბატონო, გიორგაძის ჩადენილი დანაშაულობანი, გახსნილია და გამომზეურებული. ის კი არა, მისი ფსევდონიმი თუ „კლიჩკაც" კი ვიცით — „კომანდორი", რაც მას, ცხადია, თავისმა ჩრდილოელმა პატრონებმა დაანათლეს.

ცნობილია გიორგაძის მოადგილე ხაჩიშვილის „კლიჩკაც" — „გორეც" და მისი საქმენიც.

მხილებულია რუსეთში გაქცეული სუკის კიდევ ორი აგენტი.

ესეც ოთხი.

ახლა იმის კითხვა, თუ ვინ არის მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და ა.შ.

ჰე, ბიჭო, გადავრჩით! საქართველოს უშიშროების სამინისტროში არის ხალხი, ვინც აგენტებს ავლენს! მაშ, გავაგრძელოთ და ბოლომდე მივიყვანოთ საქმე. ბოლოსდაბოლოს გავიგოთ, თუ ვინაა ჩვენი მტერი და ვინ — მოყვარე.

უსათუოდ უნდა გავიგოთ, ვინ არიან აგენტები ეროვნულ მოძრაობაში, პარლამენტში, მთავრობაში, ჯარში და ა.შ. ვიჩქაროთ და ბოლომდე მივიყვანოთ საქმე, თორემ დაიწყრა გული, დაიბინდა გონება ამდენი რებუსით.

3. დაპატიმრება „ავტორიტეტის აღსადგენად!!!"

აგენტთა გვარების გამომზეურებამდე ჩვენი გონების ამ უნუგეშო დაბინდულობასა და ჩვენი ყოფის აბსურდულობაზე მინდა მოგითხროთ ერთ, არ ვიცი რა დავარქვა, იდიოტურ სიტუაციაზე, რომელშიც უნებურად აღმოვჩნდი.

ამ ცოტა ხნის წინ რუსთაველის მეტროსთან გადავეყარე ჩემს ძველ მეგობარს, თანაკურსელს. ეს ქალი ეროვნული მოძრაობის „მრგვალების" ფრთის აქტიური მხარდამჭერი იყო და მათი და, საზოგადოდ, ეროვნული ძალების მარცხის გამო სასოწარკვეთილი.

—



იცი თუ არა, რომ ესა და ეს კაცი დააპატიმრესო, — მკითხა მან და დამისახელა ერთი საკმაოდ ცნობილი პიროვნება ორთოდოქსი „მრგვალების" ფრთიდან.

მე დავუდასტურე — ვიცი-მეთქი.

— ამ კაცს სახელი უაღრესად შელახული ჰქონდა და ავტორიტეტის აღსადგენად დაიჭირესო!!!! — განმარტა მან...

ხმა ვერ ამოვიღე!

ვიდექით ასე დიდხანს და იდიოტებივით შევყურებდით ერთმანეთს...

იმ კაცს, დაპატიმრებულს, მეც საკმაოდ კარგად ვიცნობდი, მაგრამ, ღმერთო, შენს სახელს ვენაცვალე, რა მეთქვა ან რა მეფიქრა, როცა არ ვიცოდი იგი შიგნიდან, საკუთარი ამბიციებითა თუ ვნებებით იმართებოდა, თუ გარედან — სპეცსამსახურებიდან. ვერაფერზე ვერ დავიფიცებდი!..

ყველაზე უფრო აბსურდული და იდიოტური მაინც ამ კაცის დაჭერის ამბავი იყო, ვითომცდა „ავტორიტეტის აღსადგენად!!!!"

არც ამ იდიოტობაზე შემეძლო რამის თქმა, რადგან უამრავი მაგალითი მედგა თვალწინ, თუ სწორედ ნაპატიმრალნი და ნახიშტარნი როგორ ყინჩად ისხდნენ მაღალ სკამებზე...

4. კერძო დეტექტივი

რადგან ჩვენს ტოტალიტარულ სისტემაში ტოტალური თვალთვალის გამო დიდი იყო მოთხოვნილება აგენტთა ვინაობის გაგებისა და ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება ნულის ტოლი, ფართო გასაქანი ეძლეოდა თვითშემოქმედებას. მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში იყო ერთი თავისმტვრევა და ტვინის ჭყლეტა იმაზე, თუ ვინ იყო ინფორმატორი. ეროვნული მოძრაობის გაშლის შემდეგ კი ხომ ჩვეულებრივ ამბად იქცა ამ მოძრაობის ლიდერთა მიერ თავიანთი მეტოქეების, ე.ი. ერთმანეთის „სუკის აგენტის" ეპითეტით შემკობა. სუკის ინტერესებშიც ხომ სწორედ ამ საყოველთაო უნდობლობის ატმოსფეროს გამეფება, ეროვნული მოძრაობის გათიშვა და შიგნიდან აფეთქება შედიოდა (და აკიააფეთქეს კიდეც!)!..

5. საქართველოს პატრიოტები თუ საბჭოთა პატრიოტები?!

საქართველოს ყველა მტრისა თუ ავისმოსურნის ზრახვები უნდა გამოავლინოს უშიშროების სამსახურმა. მაგრამ ვის ინტერესებს ემსახურებიან ამ სპეცსამსახურების თანამშრომლები? საქართველოს პატრიოტები არიან ისინი, თუ ძველებურად საბჭოთა ანუ რუსეთის პატრიოტები?

ანდა, ღმერთმა ნუ ქნას და, იქნებ ისინი ისეთი იდუმალი და მტკიცე ძაფებით არიან გამობმულნი თავიანთ ძველ პატრონებზე, რომ მათი სურვილისა და მონდომების მიუხედავად ისევ რუსეთის სამსახურში რჩებიან?

ღმერთმა ნუ ქნას, ეს შეუძლებელია, დღეს აღარ იქნება ასე, მაგრამ როგორიც იყო ადრე მათი საქმიანობის მთავარი მიმართულება, ამის თაობაზე მინდა ჩემი პატარა დაკვირვება გაგიზიაროთ.

1977 წლის გაზაფხულის ერთ დღეს დამიბარეს მეცნიერებათა აკადემიაში და იქიდან წამიყვანეს სუკში ანტისაბჭოთა აგიტაცია — პროპაგანდის ბრალდებით (უნდა ვთქვა, რომ თავად სუკელები ამ ბრალდებას ვულგარულად და უხეშად ლაყბობის სახელით მოიხსენიებდნენ და სავსებით მართებულადაც. — აბა რომელი მასობრივი ინფორმაციის საშუალების მფლობელი მე ვიყავი, რომ ანტიაგიტაცია მეწარმოებინა. უბრალოდ, ჩემს შეხედულებებს საბჭოთა სინამდვილეზე, საქართველოს კოლონიურ ყოფაზე მეგობართა და ნაცნობთა წრეში ალალად გამოვთქვამდი. ეს იყო და ეს. ჩასაფრებულ აგენტ-ინფორმატორს კი განაგონი მიჰქონდა იქ, სადაც ჯერ არს!).

ეტყობა, დამუქრება-დაშინება-დამუშავების საერთო მეთოდოლოგიაში შედიოდა ის, რაც მათ იქ მითხრეს:

— ვინ გგონია შენი თავი, რომ დაგიღია პირი და ლაყბობ, ნამდვილი პატრიოტები ჩვენ ვართ და საქვეყნო საქმესაც ჩვენ ვაკეთებთ. სწორედ საქართველოს უშიშროების სამსახურმა მოახდინა ჩვენი მტრის ხრუშჩოვის იზოლირება და პატიმრობაში აყვანაო (ამის მთქმელი შანიძის გვარით გამეცნო). დალოცვილი, ამას ისე ამბობდა, თითქოს ხრუშჩოვის დაპატიმრების ბრძანება მის შეფს ა.ინაურს ან ვ.მჟავანაძეს გაეცეს, ანდა, თითქოსდა, ვთქვათ, ერთი 200000-მდე ქართველის დახვრეტისა თუ გაციმბირების ბრძანება რომ ყოფილიყო მოსული ზემოდან, გაჯიუტდებოდნენ და არ აასრულებდნენ (მე თქვენ გეტყვით და ამდენ კაცზე დოსიე არ ექნებოდათ წინასწარ გამზადებული!)!

მაგრამ რაც იყო, იყო. დღეს შეუძლებელია, წარმოუდგენელია უშიშროების ორგანოების ინტერესის საგანი იყოს ის, თუ რას ამბობს ესა თუ ის კაცი, ან თუნდაც პოლიტიკური ორგანიზაცია, ვთქვათ, უდენობაზე, ან რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოში დაკანონებაზე. მათი შეუნელებელი ინტერესის საგანი კი ნამდვილად უნდა იყვნენ ის პირნი, ორგანიზაციები თუ სულაც სახელმწიფო სტრუქტურები, რომელთა ზრახვანი და საქმენი რამენაირად ვნებენ საქართველოს სახელმწიფოებრიობას. და რამდენი რამ გვევნო და როგორ გაპარტახდა ქვეყანა მათი ამ ანტიეროვნული საქმიანობით!.. მაგალითად მარტო ერთი ეროვნული ბანკის ყოფილი ხელმძღვანელის დასახელებაც კმარა!

(სხვათაშორის, არც ზემოხსენებული ბაზების დაკანონება განამტკიცებს ჩვენს სახელმწიფოებრიობას, პირიქით, ძირს უთხრის მას!..).

6. ყველანი უპირველესი მიზნის სამსახურში!

საქართველოს სახელმწიფოებრიობის საძირკველი უშიშროების სამსახურია!

ეს უდაო ჭეშმარიტებაა!

ყველა კაცისათვის, ოპოზიციის წარმომადგენელი იქნება ის თუ პოზიციის, საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცება უნდა იყოს უპირველესი საზრუნავი, თუ იგი მტრის სამსახურში არ არის ჩამდგარი. ამიტომაც ოფიციალური ხელისუფლებაც და ოპოზიციაც სისხლხორცეულად უნდა იყოს დაინტერესებული უცხო ქვეყნის აგენტების გამოვლენა-მხილებით. ყველა ფორმირების სტადიაში მყოფი ქვეყანა პირველყოვლისა ამას აკეთებს და ჩვენც ეს უნდა გავაკეთოთ. აგენტების გამოვლენამდე, მათი გვარების გამოქვეყნებამდე ვერც ერთ ნაბიჯს ვერ გადავდგამთ წინ სახელმწიფოებრიობის მშენებლობის გზაზე.

ამ უზენაესი მიზნისათვის უნდა გადავდოთ ყველა სხვა საქმე და საზრუნავი და მტკიცედ და ერთხმად მოვთხოვოთ უშიშროების სამსახურს სუკის აგენტების გვარების გამოქვეყნება, რადგან ჯერ ჩვენ სახელმწიფო არ გაგვაჩნია, შეუძლებელია სახელმწიფო ეწოდოს ქვეყანას, რომლის უშიშროების შეფიც სხვა სახელმწიფოს რეზიდენტია!

სასურველია, საქართველოს ტელევიზიამ შემოიღოს რუბრიკა „აგენტი №?" (ჯერ 5, მერე 6, 7 და ა.შ.).

საქართველოში გამომავალმა გაზეთებმა, სამთავრობომ თუ ოპოზიციურმა, შემოიღონ შესაბამისი მუდმივი (ბოდიში, ხანგრძლივი, იმ დრომდე, სანამ აგენტების გამოვლენა არ დასრულდება) რუბრიკები.

მაგალითად, ასეთი: ტრაგიკული შეძახილით: „ბიჭო, ვისი ხარ" და დანანებით: „მალხაზო!"

ან მოკლე: „გუ-გული", „ორ-გული" და სხვა.

ან ვაჟასეული: „ახუნდი" (სუკის აგენტები, როგორც ცნობილია, შეთავსებით ახუნდებიც არიან. ვაჟას „ახუნდის" თანამედროვე ინტერპრეტაციისათვის იხ. ნ. გრიგალაშვილის წერილი „ახუნდიზმი").

ან რუსთველისეული მოჭრილი: „კაცი, ცრუ და მოღალატე"...

„გამოაქვეყნეთ საქართველოს ყველა მტრის გვარი

ბერბიჭაშვილის ნათესავის, მოდგმის თუ დარის!"

მეორე სტრიქონში სიტყვა „ბერბიჭაშვილის" ნაცვლად შეიძლება აგრეთვე ჩაისვას სიტყვა „ორჯონიკიძის", ან „ჩიბუხიანის", ან „ციციანოვის" და ა.შ. (ეს უკანასკნელი — კავკასიის მთავარმართებელი — საქართველოს დაუძინებელი მტერი გახლდათ).

რაც შეეხება ეროვნული ძალების წარმომადგენლებს:

ეთხოვოთ მათ ხელი აიღონ ყველა სხვა პოლიტიკურ მოთხოვნაზე და მოაწყონ მდგომარე, მჯდომარე, მწოლარე, შიმშილობის (მშრალის თუ სველის) და სხვა ყველა შესაძლო სახის აქცია უშიშროების სამინისტროს წინ ერთადერთი მოთხოვნა — მოწოდება — ლოზუნგით: „გამოაქვეყნეთ!" — სკანდირებით: „გა-მო-აქ-ვეყ-ნეთ!"

(თავის დროზე მთავრობის სახლის წინ „ჩა-უ-შეს-კუ"-ს სკანდირების ნაცვლად მათ ყურადღება რომ იქვე მდგარ სუკის შენობისაკენ მიემართათ და „გა-მო-აქ-ვეყ-ნეთ!" ეყვირათ, იქნებ საქართველოში ამდენი უბედურება არ დატრიალებულიყო... და ძველი სუკის შენობაც ადგილზე მდგარიყო!).

მათვე (ეროვნულმა ძალებმა) თბილისის (და საქართველოს ყველა ქალაქისა და სოფლის) ყველა შენობის ყველა კედელზე წააწერონ ერთადერთი ლოზუნგი: „გამოაქვეყნეთ!"

ზურაბ ჟურვანიძეს ეთხოვოს უშიშროების სამინისტროს შენობის წინ პირის აკერვის აქცია მოაწყოს მკერდზე ტრანსპარანტით:

გა-მო-აქ-ვეყ-ნეთ!
გა-მო-აქ-ვეყ-ნეთ!
გა-მო-აქ-ვეყ-ნეთ!

**ავთანდილ კოკიაშვილი**

**P.S.** უცხო ქვეყნის სუკის აგენტების გვარების გამოქვეყნება ადამიანებს ერთმანეთზე წაჰკიდებსო — აი, პასუხი და არცთუ უსაფუძვლო, მაგრამ უფრო დიდი უბედურება ის არ არის, კაცი რომ ქვეყნის აშენებელი გვგონია და მერე გაირკვევა, რომ თურმე ხიდი არ არის მისგან დაუწვავ-გაუნად-

# ... შეხედეთ ერთხელ ვარსკვლავებს !

**...1995 წ. დეკემბერში** გაზეთ „სამყაროს დედაში" დაიბეჭდა ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტის, ბატონ ედუარდ შევარდნაძის სახელზე.

გავიდა დრო. პრეზიდენტი დუმს. პრესცენტრი დუმს. აპარატი დუმს. ჩვენ გვაინტერესებს ტოტალური დუმილის მიზეზი და ამ წერილში შევეცდებით ამოვიკითხოთ პასუხი. იგნორირება შეუძლებელია რადგან ignorire non argumente. გასაგებია რომ წარმოუდგენელია პრეზიდენტის დღის წესრიგის დატვირთვა, პრობლემების სიმრავლე, საქართველოს დღევანდელი ძნელი სიტუაცია, მაგრამ მეოთხე ხელისუფლების საინფორმაციო ველის ყურადღება ერთ-ერთი უმთავრესი დარგია პრეზიდენტის შიდა ეროვნულ პოლიტიკაში. მაშ რაშია საქმე. არ მიაღწია ინფორმაციამ? ესეც დასაშვებია, რადგან სხვა სამსახურები უზრუნველყოფენ პრეზიდენტის განტვირთვას და თვითონ ახორციელებენ სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საკითხის გადაწყვეტას. მაგრამ ჩვენ არც ერთმა ინსტანციამ არ გაგვცა პასუხი. ხომ არ ხდება პრეზიდენტის დაბლოკვა, ან იზოლაცია? ესეც გამორიცხულია, რადგან ამ შემთხვევაში ჩვენ ისევ ცკ-ს მდივანს, პარტოკრატიული აპარატით სრულიად იზოლირებულ ლიდერს მივიღებდით და არ გვინდა დავიჯეროთ რომ ის ხალხი, რომელიც პრეზიდენტის გუნდშია, დემოკრატიის იდეებს ულალატებენ, სხვაგვარად ჩვენ ძველსავე საქათმეში ამოვყოფთ თავს.

ვფიქრობ, რომ ადამიანებს აკლიათ გმირული შემართება. ბევრია ჯერ კიდევ მონური ფსიქოლოგიის, კონიუნქტურული აზროვნებისა და ფსიქოლოგიის გადმონაშთები. ხალხს დღეს ყველაფრის ეშინია. ეშინია დაკარგოს ადგილი, სავარძელი, კონიუნქტურა, მეგობრები. სხვაგვარად აბა როგორ აიხსნება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციაში შიშით გაასავსავეს ხელები და აღნიშნული წერილის დაბეჭდვაზე ცივი უარი გვითხრეს: ჯერ სხვებმა დაბეჭდონო... დაიბეჭდა სხვაგან, გაზეთ „საქართველოში" და გაზეთ „სამყაროს დედაში". კიდევ ერთ გაზეთს „მოერიდა" კონიუნქტურული მოსაზრების გამო, — გაზეთ „7 დღეს".

გასაგებია ბატონებო, პოლიტიკური კინკლაობა სარფიანი საქონელია დღევანდელ ინფორმაციულ ბაზარზე, მაგრამ ხომ არსებობს რაღაც, რასაც უნდა ეთაყვანოს ადამიანი, როდესაც საკუთარი თავის პირისპირ დარჩება?!

მაგრამ არიან ადამიანები გახსნილი მსოფლმხედველობით. ერთმა ასეთმა პიროვნებამ პირადად ჩააბარა მაშინ სახელმწიფო მეთაურის აპარატს ჩვენი დოკუმენტი. მაგრამ რა? დიდი ხნის შემდეგ ზრდილობიანად დაგვირეკეს და უბრალოდ მიმოიკითხეს, ორი სიტყვით, ჩვენი საქმიანობა. სახელს ვერ ვასახელებთ, რადგან დიდი აპარატის წარმომადგენელმა, საჭიროდ არ ცნო თავის გაცნობა. ესეც პრივატიზაციის მაგალითია თანამდებობისა. რას შეეხებოდა ის დოკუმენტი? ისევ იმ საკითხს, — ადამიანის მოვალეობის მცნებას. მცნებას, რომლითაც არის გამსჭვალული მსოფლიოს ყველა მოძღვრება, საერთაშორისო სამართალი და პოლიტიკა. ჩვენ შევეცადეთ შეგვექმნა საერთაშორისო საზოგადოება „ადამიანის მოვალეობათა დეკლარაცია", მაგრამ ბ-მა ალექსიძემ, რომელსაც დასკვნისათვის ოფიციალური მიმართვა გავუგზავნე, ასე გვიპასუხა: საერთაშორისო სამართალში მოვალეობის მცნება არ არსებობს. არ ვიცით, რას ეყრდნობოდა ამ შემთხვევაში ბ-ნი ალექსიძე, მაგრამ რუსეთ-საქართველოს... ხელშეკრულებაში, რომლის კომისიაშიც უშუალოდ ბ-ნი ალექსიძე მოღვაწეობს, პირველივე გვერდზეა დაწერილი, რომ ორივე მხარე მოვალეა დაიცვას საერთაშორისო ვალდებულებათა პრინციპები. მოვალეობის მცნება რომც არ არსებობდეს, იგი უნდა შეიქმნას და სასწრაფოდ გატარდეს როგორც ეროვნულ. ისე საკაცობრიო მასშტაბით და თუ რას წარმოადგენს მოვალეობის დეკლარაცია ამ თვალსაზრისით, — მოგახსენებთ.

ყოფიერებაში ადამიანებს ყოველთვის როდი შესწევთ უნარი შეამჩნიონ სასარგებლო მატება. ყოველი ზრდა, ელვისა და ჭექა-ქუხილის თანხლებით, ტანჯვით მოდის. მხოლოდ სრულყოფილ გონებას შესწევს უნარი გრიგალში აღიქვას ჭეშმარიტების ელვარება. ყოველმა ამომავალმა მოაზროვნემ საერო ცხოვრებაში უნდა განახორციელოს ჭეშმარიტების თავისუფალი აღქმა. ცხოვრებისადმი ჭეშმარიტების თავისუფალი გაგების დართვის გარეშე არ შეიძლება ადამიანს მიენიჭოს მოაზროვნის სახელი. აზრი არის სიცოცხლე და სიცოცხლეს აზრი ამოძრავებს. ჩვენ უნდა განვიცადოთ ევოლუცია, სხვაგვარად მუმიებად გადავიქცევით. გვიყვარდეს ევოლუცია, რამეთუ მასშია მარადიულობის გაგება.

დიახ, ბევრი, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, უამრავი ადამიანი, არ აძლევს საკუთარ თავს ანგარიშს მასში, რომ სრულიად დაუშვებელია ყოველი დაყოვნება არა მარტო მიღებისა, არამედ დანერგვისა და ცხოვრებაში გატარებისა, ადამიანის მოვალეობის მცნებისა. ეს მცნება უნდა დრომასავით აღიმართოს, როგორც საკაცობრიო იდეა დღევანდელი ადამიანის და მომავალი თაობების ცნობიერებაში, რათა დაცული იქნას, ბოლოსდაბოლოს სამუდამოდ, საკაცობრიო კულტურის საგანძური მომავალი მსოფლიო ევოლუციისათვის. კულტურის მიღწევათა დაცვის გარეშე კაცობრიობა დაუბრუნდება წარსულის ბარბაროსობის ყველაზე უხეშ ფორმებს, რადგან შეიარაღებული იქნება ნგრევის ყველა საშუალებებით, უმაღლესი სულიერების სრული დამბლისა და გამკვდარების ფონზე, რომლებიც ერთადერთნი არიან განაპირობონ ჩვენი უზენაესობა და უკვდავება.

ჩვენ უნდა გავექცეთ გულის გატეხვას, რადგან დიდი მცნებები დიდი გაჭირვებით იკვლევენ გზას და მათ კვალდაკვალ მოსდევს გაუგებრობა, უარყოფა, ჭორი და შურისძიებით აღსავსე ბრძოლა. მიუხედავად ამისა, დიდი იდეის მსახურთ მუდამ ახასიათებდათ ურყევი სიმტკიცე და საკუთარი თავის სიმართლის სრული რწმენა, როდესაც სული [illegible] სიმართლის საფუძველი და [illegible] იზრდება ის ფრთები, რომლებიც ნებისმიერ უფსკრულზე გადაგვატარებენ. ყოველ შემთხვევაში ბუნებრივია სიძნელე, რადგან თვით კოსმოსი და პლანეტა ეჭირა ძალთა დაპირისპირებულობას. ასეა განსაზღვრული, უზენაესი მოითხოვს ჩვენგან აღვადგინოთ სწორი წონასწორობა. ამ დარგში, რომელიც ერთადერთია ევოლუციის გამსაზღვრელი: ქალისა და მამაკაცის სულიერ სამყაროთა ერთნაირი ზრდა, რადგან ცხოველთა სამყაროში მკაცრი პატრიარქალური მომენტის გამო აბსოლუტურად გამორიცხულია ცხოველთა სულიერი განვითარება. ეს პრობლემა ლეგენდარული სიღრმეებიდან მოვიდა ჩვენამდე. მამაკაცის დამთრგუნავი პრესის დასაძლევად ქალებმა ფიზიკურ ძალას მიმართეს და ამორძალები უძლეველნი გახდნენ მამაკაცების მხრიდან. ამან პრობლემა ვერ გადაწყვიტა და ამორძალობამ თავის-თავად მიიძინა და ლეგენდად იქცა. შემდეგ ემანსიპაცია, როგორც ტოლი უფლებების მომენტი, მთელი დღევანდელი სიმახინჯის მიზეზია, რადგან უფლება სულიერების ზრდის ელემენტად კი არ იყო მიჩნეული, არამედ მამაკაცის მსგავსი უმსგავსოებების განმეორების პირობად იყო მიღებული. რა თქმა უნდა, არაფერი გვაქვს სათქმელი კიდევ ერთ სიმახინჯეზე, — ფემინიზმზე. ჩვენ გვინდა ვთქვათ, რომ ქალი, რომელიც საკუთარ სულიერებაზე ზრუნავს, თვითონ ან მას ემსახურება საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერება, არის ევოლუციის ერთადერთი საწყისი. მონა მონას შობს და უინტელექტო და მდაბალი ქალი შთამომავლობას ვერ გაზრდის. ასეთი ხალხი გადაგვარების გზაზეა. მაღალზნეობრივი, ინტელექტუალური ქალი წარმოდგენილი უნდა იქნას სამინისტროებში, კომიტეტებში, სახელმწიფო სტრუქტურებში და ყველა ჩამოთვლილი სტრუქტურის ყველაზე საპასუხისმგებლო პოსტებზე. ასეთი ქალის ერთადერთი სავიზიტო ბარათია — საკუთარი ოჯახის სიწმინდე და აღზრდილ შვილთა ზნეკეთილობა. ნათქვამია: ერი, რომლის ქალიც დაცულია — კეთილდღეობსო. ეს სიცოცხლის მთელი მოძღვრებაა და ვერავინ ვერ ჩაუვლის მას გვერდით საკუთარი არსის გამოუმჟღავნებლად. ზოგი კი გაიხარებს, ზოგი შეშფოთდება, ზოგი შეიძლება განრისხდეს კიდეც. თუ ვინმეს არ ესმის ევოლუციის საწყისი და სამართალი, გამოამჟღავნოს თავისი უვარგისობა: რაც უფრო ნაკლები იქნება პირფერობის ნიღაბი, მით უკეთესია, ძლიერი სული და ახალგაზრდული გული სიხარულითა და აღფრთოვანებით მიიღებს აღმავლობის გზას.

ჰარმონია ყოველთვის როდი მიიღწევა, თუნდაც ხშირად იყოს ნათქვამი სიტყვიერად. ჩვეულებრივ შეცდომას წარმოადგენს ის, რომ ჰარმონია შეიძლება დამყარდეს გონებით, კანონმდებლურად. მხოლოდ ახალი თაობის ქალია ამ საკითხის სათავეში, მის გულშია ჰარმონიის კერა და მან ყველაზე კარგად იცის როგორი ძლიერებით გადაჭიმოს კაცობრიობის მომავლის აკვნის არტახები. ჩვენ ვისაც გინდათ იმას დავდებთ ბრალს განხეთქილების, მტრობის და სხვა, რომელიც გნებავთ უბედურების მიმართ, მაგრამ ქალის სულიერების არამარტო შებღალვით, არამედ მასზე უზრუნველობის მიზეზის გამო, ბრალი მხოლოდ ჩვენვე მიგვიძღვის. ალბათ, რუსთაველის ქალის მოდელის მივიწყებაში უნდა ვეძიოთ ჩვენი ეროვნული უბედურება. ადამიანებს სჩვევიათ საუკუნეების შემდეგ დაკარგულ შესაძლებლობათა მიმართ სინანული, მაგრამ თანამედროვეობის შემთხვევაში, როდესაც ადამიანი პირისპირ დგას ამგვარ შესაძლებლობასთან, მას უკვე ეჭვი აწუხებს. ამიტომ ყოველგვარ ეჭვს გარეშეა ისტორიის მრავალი ევოლუციური დიდებული იდეის დამახინჯება და პროფანაცია იმის გამო, რომ როდესაც მოდიოდა გარდაქმნის იდეა, მას შესაბამისი უმცირესობა ფლობდა. ამის შემდეგ პრაქტიკულ განხორციელებაში აუცილებელია მასების მონაწილეობა და ამით დიადი საქმის ქაოსად ქცევა იწყებოდა. რატომ? იმიტომ რომ ყველა ადამიანს აქვს საკუთარი წარმოდგენა ყოველ საკითხზე, კერძოდ დემოკრატიაზე და ამ თავისი საკუთარი წარმოდგენების დემოკრატიული მოდელის განხორციელებას იწყებს და საზოგადოება იქსაქსება მრავალ მტრულ ბანაკად, იკარგება ერთიანი ძალისხმევა და სიკეთე ბოროტსიმახინჯედ გარდაიქცევა. ამიტომ ევოლუცია, თუნდაც ისეთი სწრაფი, როგორიც დღევანდელია, მოითხოვს გეგმას, თორემ ქაოსი წაგვლეკავს. საჭიროა ერთიანი ძალისხმევა. ამ საკითხს საკაცობრიო იდეების საყოველთაო დანერგვა სჭირდება, მასწავლებლის გარეშე შეუძლებელია. მასწავლებელი ის პიროვნებაა, რომელიც ახალ თაობას საკაცობრიოდ მიაღებ ასევე საკაცობრიო იდეებს ჩაუნერგავს და ქაოსი ერთხელ და სამუდამოდ დაიძლევა. ამ თვალსაზრისით დღეს ყველაზე გადაუდებელი საკითხი მასწავლებლის, ჭეშმარიტი, მზრუნველი და მოამაგე მასწავლებლის შენარჩუნებაა. ეს არა მარტო სახელმწიფო, ეს საკაცობრიო პრობლემაა. მათ რიგებში უნდა შეიქმნას მუდმივად არსებული „ადამიანის მოვალეობათა დეკლარაციის" კომიტეტი, რომელშიდაც გაერთიანდებიან წარჩინებული საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერები და დემოკრატიულად მოაზროვნე პოლიტიკოსები. თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ ამით მთელ კაცობრიობას ვთავაზობთ ყველა ეროვნებისათვის, მისთვის დამახასიათებელი „ადამიანის მოვალეობათა დეკლარაციის" სამოქალაქო ნორმებს და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების „ადამიანის მოვალეობათა დეკლარაციის" კომიტეტი სამყაროს ევოლუციის იმუნიტეტად გარდაიქცევა. რასაკვირველია, ამ მხრივ საჭიროა ფართო ინტელიგენციის მხარდაჭერა ერის ფარგლებში და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა მსოფლიო მასშტაბით.

რა რიგ საჭიროა დედამიწის, როგორც სამყაროს ცენტრის წარმოდგენა, რადგან მხოლოდ მაშინ მთელი სიგრძე — სიგანით შევიგრძნობთ ვალს, რომელიც ადამიანის მხრებზეა დადებული. ალბათ ბევრმა და ამასთან ერთად სამართლიანად, აღნიშნა წარსული ეპოქების ადამიანთა სულიერი ძლიერების ელვარება და რარიგ დაეცა იგი სადღეისოდ, თუ საერთოდ არსებობს იგი ისტორიული მასშტაბის სიდიადის თვალსაზრისით, ჩვენს დღევანდელობაში. დაწვრილმანდა ჩვენი სულიერება რადგან, არ მოვიხმობთ მას მოქმედებისათვის და ამიტომაც მიიძინა და დაკარგა მთელი თავისი ცეცხლოვანი ელვარება. არ არის გაჩაღებული ის ბრძოლა, რომელიც იწვევს ამირანის ამ ცეცხლს და ყოველნაირად დავბეჩავდით. დავბეჩავდით, რადგან განზოგადოებულად ულერს მის შესახებ ყოველი შეხსენება.

მაგრამ დღეს გვაქვს ნათლად ჩამოყალიბებული საკაცობრიო ღირებულების მქონე ამოცანა, რომლის განხორციელება უამრავ წინააღმდეგობას წააწყდება. ამ წინააღმდეგობათა გადალახვა იქნება ის „ხახუნის ძალა" რომელმაც უნდა დაანთოს ამირანის სულის ძლიერების ცეცხლი მთელს პლანეტაზე.

ნოტი აჟღერდა! ვინ გამოეხმაურება კიდევ? ვის შეუძლია თავისი პიროვნული ინტერესების ეროვნულ ინტერესებში ხილვა და უმტკივნეულოდ, ერისთვის საერთო მოძრაობაში გაერთიანება?! მათ, ვინც ამ ნაბიჯს გადადგამს, ვეტყვით, რომ ეს არა მარტო ეროვნული, არამედ სამყაროსეული მსხვერპლშეწირვაა, — ადამიანების ნამდვილი ზეიმი იქნება.

დასასრულს მინდა წერილის არსის დაზუსტება:

არამც და არამც არ განვიკითხავთ არავის. არსობის პური ძნელია ყოველი ჩვენთაგანისათვის დღეს... მაგრამ ბნელ, უღრუბლო ღამეს შეეხედოთ ერთხელ ვარსკვლავებს!

თამაზ თაბაძე

# «წყეული» ადგილები

ყველას გვსმენია გეოპათოგენურ ზონებზე. ამ ტერიტორიებზე ცხოველები და ადამიანები თავს დისკომფორტულად გრძნობენ. ეს გამოწვეულია იმით, რომ მიწაში ბიოლოგიური არაერთგვაროვნებაა. ნაპრალები, განმარხებული მდინარეები და ძველი სასაფლაოები ასხივებენ უარყოფით ენერგიას. მავნე ზემოქმედების მოცილება ან ნეიტრალიზირება შეუძლებელია. თუმცა, ზონები მუდმივად არ მოქმედებენ: ისინი ირთვებიან, ფართოვდებიან, შემდეგ ვიწროვდებიან — მიწა თითქოს მშვიდდება.

ამ ზონებზე ასეული წლების წინ იცოდნენ. ადრე სახლს არ ააგებდნენ ვაზის ლერწმით „ექსპერტიზის" გარეშე. ამჟამად მიწას ბიოლოკაციური ჩარჩოთი იკვლევენ. თუმცა, დღეს მშენებლობას ძირითადად ფინანსური ინტერესები მართავს, ამერიკაში, ინგლისსა და საფრანგეთში აუცილებლად ითვალისწინებენ ბიოლოკაციის ოპერატორის რეკომენდაციებს.

მოსკოვისა და პეტერბურგის მეცნიერთა ჯგუფმაც გამოიკვლია მშობლიური ქალაქის „უბედურების ზონები" და რუქები შეადგინა, თუმცა არ აქვეყნებენ. მართლაც, რა სასიამოვნოა, გაიგო, რომ ცხოვრობ და მუშაობ „წყეულ" ადგილზე? ამ რუქების ღირსება ის არის, რომ ახალი მშენებლობა მოხდება უხიფათო ზონაში, ხოლო უკვე არსებული შენობების საძირკვლებზე დამონტაჟდება ხელსაწყოები, რომლებიც გაანეიტრალებენ გამოსხივებას.

მოსკოვის საინჟინრო ბიოლოკაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ ხლოპკოვმა და წამყვანმა მეცნიერმა ევგენი მელნიკოვმა გამოაქვეყნეს რამდენიმე სახიფათო შენობა. ასეთებია: „გაზმრეწვის" დიდებული შენობა, სამთავრობო ინფორმაციული ცენტრი, ქრისტე გადამრჩენელის ტაძარი და თვით „თეთრი სახლი". ასე თუ ისე, სუფთაა კრემლი, თუმცა ძირფესვიანი შემოწმება არ მოხერხდა.

ზოგჯერ მოსკოვისა და პეტერბურგის ტერიტორიებზე გვხვდება საკმაოდ დიდი გეოპათოგენური ზონები. მაგალითად: მოსკვა-რეკას გაყოლებაზე, ლოსის კუნძულზე, ვასილევის კუნძულის 35 % მიწისქვეშა გამოსხივების გავლენის ქვეშაა. ყველაზე ცუდი ადგილებია მოსკოვში ტუშინო და პეტერბურგში — კუპჩინო. სიმფეროპოლის პროსპექტსა და რემიზოვის ქუჩაზე მოულოდნელად იწყება ენერგიის ამოფრქვევა, რაც იწვევს ამ ტრასებზე ავარიებს, ამიტომ საი-ს მოუწია გამაფრთხილებელი ფარის დაყენება. გერმანიაში ასეთ ზონებს ცისფერტალღიანი თეთრი წრეებით აღნიშნავენ.

დღეს მოსახლეობის 30—40% ცხოვრობს გეოპათოგენურ ზონაში. თუმცა, ადამიანი ყოველთვის მიიწევდა ასეთი ადგილებისაკენ. ენერგეტიკულ ტერიტორიებზე, რომელთა მოქმედების დიამეტრი 100—200 კმ-ია, ხდებოდა ცივილიზაციის ჩასახვა. მაგალითად: ძველი საბერძნეთი და რომი, იაპონია, მონღოლეთი, ინდოეთი, ავსტრალიის ზოგიერთი რაიონი, ჩრდილოეთ აფრიკა, მოსკოვი, სამარა, ურალი... ის, რაც ერთი ადამიანისათვის დაავადების მიზეზია, მთელი პოპულაციისათვის განვითარების წყაროა.

იქნებ ბუნებამ ეს ყველაფერი ბუნებრივი შერჩევის რეგულაციისათვის მოიფიქრა? თუმცა, ამ საიდუმლოს ამოხსნით, ადამიანი შესძლებს კორექტივები შეიტანოს თავის განვითარებაში.

არც რა მიშველა ტირილმა,

არცა ცრემლების დენამა,

მიშველა ისევ სიცილმა,

ლაქარდიანმა ენამა.



# მასწავლებლის სიტყვის ძალა

ჯემალ ღაღანიძე მკვეთრი ინდივიდუალობის მქონე მსახიობია. ყველგან იგრძნობა მისი გამჭრიახობა და გონებამახვილობა.

გონებამახვილობა არც ცხოვრებაში აკლია ჯემალს. ბავშვობაშიც სულ ხუმრობდა და სწავლას მაინცდამაინც თავს არ აკლავდა. საგანი, რომელიც არ უყვარდა (ალბათ ხვდებით რომელი), არც სწავლობდა. როცა მოსწავლეს საგანი არ უყვარს, მასწავლებლის დამოკიდებულება მისდამი პირდაპირ პროპორციულია, ანუ არც მასწავლებელს უყვარს ასეთი მოსწავლე!

გამოიყვანა ერთ დღეს მასწავლებელი მოთმინებიდან მოსწავლე ღაღანიძემ და სამასწავლებლოში ამ თავმოყვარე ბიჭს პირში მიახალა:

— არა, გენაცვალე, ასეთი ცოდნით შენ შორს ვერ წახვალო! — ეს შეურაცხყოფა ჯემალმა ვერ ამოირეცხა გულიდან.

გავიდა მრავალი წელი, ჯემალი სცენის ოსტატად და საყვარელ მსახიობად იქცა. მრავალ ქვეყანაში, სადაც რუსთაველის თეატრი მოგზაურობდა, ჯემალის ხელოვნებას მაღალი შეფასება მისცეს.

1977 წელს მექსიკაში ვიმოგზაურეთ, ოციოდ საათი ვიფრინეთ, იმ წყეულ ბერმუდის სამკუთხედს გადავუარეთ. მოდი და ნუ შეშინდები: სტიუარდესა ყოველ ნახევარ საათში ერთხელ გვაჩვენებდა, როგორ ჩაგვეცვა მაშველი კომბინეზონები, თუ საჰაერო კატასტროფის დროს ატლანტის ოკეანეში ჩავვარდებოდით! კარგი ამბავია, შენ ნუ მომიკვდები! ისიც გვითხრეს, აქ ძალიან ხშირია საჰაერო კატასტროფაო, ფუი ეშმაკს! ჯვარი გვწერია, მაგრამ იმას რომ გავიგებ, ოკეანეში ვვარდებით, კომბინეზონის შეკვრის თავი მექნება ვითომ?

მაინც რა დასაკარგავში ყოფილა ეს მექსიკა? ჩვენში შორეთს გადამთიას ეძახიან, ეს გადამთია კი არა, გადაზღვია ყოფილა. ოც საათზე მეტი დრო მიდიხარ ამ „ცისფერ ბურანში“, აქ ცაც და ზღვაც ცისფერია, იჯექი და უყურე ამ ერთადერთ ფერს.



ფერადოვანი და ჭრელი ქვეყანაა მექსიკა, იმდენი რამ არის ჩვენთვის უცხო და ეგზოტიკური, ვერც დაიხსომებ. თან თეატრს დიდი წარმატება ჰქონდა და ამის დასტურია ის ფაქტი, რომ ჩვენმა თეატრმა სერვანტესის სახელობის მსოფლიო ფესტივალზე „სერვანტინო“, ასობით თეატრს შორის საპატიო პრემია დაიმსახურა. ამ წარმატებაში კი ჯემალ ღაღანიძის ლავრენტის როლის („კავკასიურ ცარცის წრეში“) ნიჭიერი შესრულების დიდი წვლილი იდო. ამ გასტროლების სიხარულმა ყველაფერი დაგვავიწყა, თუმცა, ერთი რამ კარგად მახსოვს:

როგორღაც ჯემალმა აიჩემა, ფოსტატელეგრაფში მიმიყვანეთ, დეპეშა უნდა გავაგზავნო თბილისში ჩემს მასწავლებელთანო, ბევრი ვუმტკიცეთ, ძალიან ძვირი დაგიჯდებაო, მაგრამ ვერ გადავათქმევინეთ. ვიფიქრეთ, დაბადების დღე თუ აქვს მასწავლებელსო და გულში შევაქეთ მოსწავლის ასეთი თავდადება და ყურადღება, არავითარი დაბადების დღეო, თვით აგვიხსნა, მაგან ბავშვობაში ერთხელ მითხრა „მასეთი ცოდნით შორს ვერ წახვალო“ და დეპეშით მინდა ვკითხო, ამაზე შორს სადღა უნდა წავიდე-მეთქი?



# კურიოზები

რუბრიკას უძღვება საქართველოს სახალხო არტისტი

ელენე საყვარელიძე

## ტიპიური შემთხვევა ტიპიურ შენობაში

ტიპიური მაღლივი შენობები მზარდი ქალაქებისათვის მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალია. იგი სწრაფად შენდება და მოჭარბებულ მოსახლეობას ბინებით აკმაყოფილებს. ერთბაშად რომ გახედავ ასეთ სასახლეებს, ლამაზიცაა ეს მიჯრით მიწყობილი ქათქათა „კოლოფები“, თუმცა, ამას გარკვეული ნაკლიც აქვს. ერთფეროვნება თავისთავადობას ჰკლავს, მიგნებაც ჭირს, მაგრამ ეს საკითხი ჩვენი გადასაჭრელი არ გახლავთ. მე მხოლოდ ერთ შემთხვევას გიამბობთ, ჩვენ რომ გადაგვხდა რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში. ტიპიურობისა და ერთფეროვნების საკითხზე სხვა დროს არ მიფიქრია, მაგრამ იმ ამბის შემდეგ, ჩვენ რომ გადაგვხდა, დავასკვენი, რომ ასეთი შენობების შიდა დერეფნები მაინც უნდა იყოს რაღაცით განსხვავებული, თორემ...

... ბუქარესტის სასტუმროს მაღლივი შენობა სისუფთავით ბრწყინავდა, დერეფნებსა და ფანჯრების რაფებზე ნაირფერი ყვავილები იწონებდნენ თავს, იატაკებზე დაფენილი მწვანე ფაფუკი ხალიჩები აბიბინებული მინდვრის ილუზიას გვიქმნიდა. ჩვენ მეშვიდე სართულზე ვცხოვრობდით, გვერდითა ნომერში ლეილა ღამბაშიძე და ლიკა ჭავჭავაძე ბინადრობდნენ.

რუმინეთის გასტროლები, ისევე როგორც ყველგან, მეტად წარმატებული იყო. წარმატებას კი ხალისი მოაქვს, თავს ბედნიერად ვგრძნობდით, არ ვიკლებდით მუზეუმებსა და სხვა ღირსშესანიშნაობებს. რაც შეეხება ღამის ბარებს, უფროსები ნაკლებ დაინტერესებას ვიჩენდით მის მიმართ, ახალგაზრდები კი ხშირად დადიოდნენ და ძალიან მაცდუნებელ ამბებს გვიამბობდნენ.

ერთ დღეს ლიკა ჭავჭავაძესაც ძლია სურვილმა, ეს გასაგებიცაა, ის ხომ შუა ასაკისაა და უფროსებისაც ესმის და უმცროსებსაც უგებს... მოკლედ, ერთ დღეს აიჩემა: ჩვენ ხომ მსახიობები ვართო, სადმე ესეც დაგვჭირდება და ხომ უნდა ვიცოდეთ, რა ხდებაო; გვეხვეწა, ვნახოთ ღამის ბარებიცო. ჩვენ ეს აზრი არ გავიკარეთ და ის სხვებს გაჰყვა. ეს კია, რომ ლეილამ მკაცრად გააფრთხილა, ჩუმად შემოდი ნომერში, სინათლე არ აანთო, არ გამაღვიძოო და იგი თავის ნომერში შევიდა, როგორც ჩვეულება აქვს, წაიფარა თავზე საბანი და ძილს მიეცა.

... ბარიდან დაბრუნებული ლიკა ფეხაკრეფით შევიდა ნომერში, სიბნელეში გაიხადა ტანსაცმელი და ლოგინში შეწვა.

ფანჯრებში უკვე შემოიჭყიტა მზემ, როცა ლიკა მაგარმა ხვრინვამ გააღვიძა, გადახედა ლეილას, თავზე საბანი ეფარა, ასეთ დროს სტვენა შველისო, გაეგონა და ლიკაც აფშვიტინდა. მძინარემ წუთით შეისვენა და... ხვრინვის უფრო მაღალი რეგისტრი აიღო, ლიკამაც მაღალ ტონალობაზე დაუსტვინა, რომ არაფერი გამოუვიდა, ფეხისგულებზე მოლუტუნება გადასწყვიტა, გადაუწია საბანი და რას ხედავს!... თეთრ, ქათქათა ზეწარზე შოკოლადივით ბზინავდა ზანგი მამაკაცის დიდი ფეხები. თავზარდაცემული წამოხტა ლიკა, კაბა გადაიცვა და გარეთ გამოვარდა... თურმე ერთი სართულით დაბლა შესულა ისეთივე ნომერში, განსხვავება არაფერში არ იყო, ერთნაირი იყო შპალიერი, ერთნაირი იყო სავარძლები, ჭალები, კედელს ისეთივე პეიზაჟები ამშვენებდა, როგორც მის ნომერს. ასე ნაუცბადევად შეპარულ ლიკას როგორ გაერჩია თეთრკანიანს ჰქონდა საბანი წაფარებული თუ შავკანიანს?!... მე სწორედ მაშინ შევეჩეხე დერეფანში აღელვებულ ლიკას, გულზე ტუფლები რომ ჰქონდა მიხუტებული და ფეხშიშველა მორბოდა. ამჯერად, მეშვიდე სართულის დერეფნის მწვანე ხალიჩაზე, იგი ჩვენს ნომერში შემოვიყვანე და ეს ამბავი გვიამბო. სიცილით რომ გული ვიჯერეთ, ერთად შევედით გვერდითა ნომერში, ეშინოდა, კიდევ რამეს არ გადავეყაროო და ფრთხილად მომყვებოდა, ისე, როგორც დანაღმულ გზაზე. შევედით და ვნახეთ, როგორ არხეინად ეძინა თავზე საბანწაფარებულ ლეილას, მას ისიც არ გაუგია, მთელი ღამე მარტო რომ იყო კარღია ოთახში.

არც იმ ზანგ ტურისტს გაუგია, რომ მის ოთახში თეთრკანიან უცხოელ მანდილოსანს ეძინა.

ჩვენ გვითხრეს, რომ ასეთი რამ ხშირად ხდება, ეს ტიპიური შენობების დამახასიათებელი ტიპიური სურათიაო.

გასაგებია, ბატონო, მაგრამ იგი სულაც არ არის ტიპიური ლიკა ჭავჭავაძისათვის, რომელიც დღესაც წითლდება ამის გახსენებაზე.





ლელა კოდალაშვილის ილუსტრაციები

## გახლავთ ლონდონი!

 იმდენი ვიცინე, როცა ეს ამბავი მიამბეს, რომ დასაკარგავად დამენანა და გადავწყვიტე ჩემებურად ალვწერო ყველაფერი.

ლონდონში საგანგებო მიწვევით მიემგზავრებოდა რუსთაველის თეატრი. გზის გარკვეული ნაწილი მატარებლით უნდა გაევლოთ, ლონდონში დილის ცხრა საათზე უნდა დახვედროდნენ მასპინძლები და სასტუმროებში მოეწყოთ სტუმრები.

შეთენებულიც არ იყო, როცა სოსო ლალიძემ გაიღვიძა და რკინიგზის სადგურს გადახედა... მის პირდაპირ დიდი ინგლისური ასოებით ეწერა ლონდონი. მსახიობი გამცილებელს შეეკითხა, — ლონდონიაო?

— იეს, იეს, ლონდონ! — უპასუხა გამცილებელმა.

ამის შემდეგ მოვლენები ისე დატრიალდა, ისე აირ-დაირია, ზოგი ისტერიაში ჩავარდა, ზოგი კანკალებდა, ზოგი იცინოდა, ერთი სიტყვით, აირია მონასტერი...

— ლონდონია, ლონდონი! ყველა კუპეს კარზე ატეხა ბრახუნი მსახიობმა, თან თავგანწირულად ყვიროდა ადექით, ლონდონიაო! მატარებლის გამცილებელი ხელებში წვდა, რას შვრებიო და თან ინგლისურად ცხარობდა რაღაცას. ვისაც გაეღვიძა, აზლა მათ ატეხეს კედლებზე ბრახუნი, არიქა, ადექით, ჩამოვედითო! წამოცვივდნენ და აფორიაქებულნი ვის ტანსაცმელს ვის ჩემოდანში ტენიდნენ, ვერ გაიგებდი, ვინც უკვე ჩაიცვა, ჩემოდნებს ფანჯრიდან ისროდნენ ბაქანზე, ქალები კიბეებზე იცვამდნენ წინდებს, ზოგი ცალი ფეხსაცმელით გამორბოდა, ერთმანეთს ეხეთქებოდნენ, გზას არ უთმობდნენ, ხმაურზე მეზობელი კუპევაგონებიდანაც გამოცვივდა ხალხი. მატარებლის გამყოლი ყველას ეჭიდება, ცდილობს დაამშვიდოს გაუგებარი მიზეზით არეული ვაგონის მკვიდრნი. ბედად ეს ამბავი რამდენიმე წუთში ჩაცხრა, თორემ პოლიციის გამოძახება არ ასცდებოდა საპატიო გასტროლიორებს.

მალე დაიცალა ვაგონი, ჩამოვიდნენ, მაგრამ აქაც მოტყუვდნენ, დილის ცხრა საათზე ჩახვალთო — ექვსზე ჩავიდნენ, დაგხვდებიანო, არავინ ჩანდა! ბაქანზე დადგეს ჩემოდნები და ჩამოსხდნენ, ვაგონებიდან გაოცებული მგზავრები იცქირებიან, მატარებელი არსად ჩქარობს... იანვარი იყო და ზუსტად სამი საათი იყვნენ ასე, სიცივისაგან ერთმანეთს ჩახუტებულნი, გეგონებოდათ სურათი უნდა გადაიღონო.

ზუსტად ცხრა საათზე მოვიდნენ საზეიმოდ მორთული და ყვავილებით ხელდამშვენებული მასპინძლები, გაუკვირდათ, რატომ გამოსულხართო? რაღა ექნათ, ვაგონებში ძალიან ცხელოდაო, იცრუეს!

სინამდვილეში რაში ყოფილა საქმე იცით? თურმე ინგლისში რა დროსაც არ უნდა ჩავიდეს მატარებელი, სანამ არ გათენდება, სანამ მგზავრი არ გამოიძინებს და არ მოწესრიგდება, წვერს არ გაიპარსავს და ყავას არ დალევს, ვაგონიდან როგორ გამოვა?

ჩვენმა მსახიობებმა ეს წესები რა იცოდნენ? ჩვენში სხვა წესები გვაქვს, შორაპანში მუჯლუგუნით გაგაღვიძებენ, თეთრეული ჩაგვაბარეო, ტუალეტში შესვლაც ხომ უნდა მოასწრო, თან ნახევრად მძინარემ ხომ უნდა მოუსმინო ბედნიერი ცხოვრების ამსახველ, რუსულ ხალხურ სიმღერებს...

მიხეილ სააკაშვილი:

# ჩვენ არაფერს უარვყოფთ ცალსახად და არაფერს ვიღებთ ცალსახად

პირველი გვერდიდან

ნება და მოუსყიდველობა.

— „კრისტალურობამდე მისული პატიოსნება და მოუსყიდველობა“ — ამას მთელი პარტიის მიმართ ამბობთ, თუ გულისხმობთ ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს?

საქართველოში დღეს პოლიტიკური პარტიები ფაქტიურად ჩამოყალიბებული არ არის. ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენაა, რადგანაც საზოგადოება იმყოფება ამორფულ მდგომარეობაში. მოსახლეობის 90 % შემთხვევითი შემოსავლებით ცხოვრობს და აქედან გამომდინარე არ გააჩნია მუდმივი ინტერესები. თითოეული პარტია წარმოადგენს ვიღაცის გარშემო გაერთიანებულ მოქალაქეთა ჯგუფს: ჩავთვალოთ, რომ „მოქალაქეთა კავშირი“ ედუარდ შევარდნაძისა და ზურაბ ჟვანიას ირგვლივ გაერთიანებული ადამიანთა ჯგუფი იყო. ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლიდერების პირად თვისებებს. შევარდნაძის პირად თვისებებზე არაფერს ვიტყვი, ის ფართოდაა ცნობილი საზოგადოებისათვის. ამ შემთხვევაში ჟვანიას პიროვნება უფრო საინტერესოა. მე ვფიქრობ, რომ პრესა საკმაოდ უსამართლო იყო მის მიმართ. ჟვანია ძალზე სერიოზული, დასავლეთში მიღებული გამოცდილების მქონე პოლიტიკური მოღვაწეა. იგი გახლდათ ეროვნულების ერთ-ერთი ლიდერი. მე მგონი ჩვენ უნდა ვამაყობდეთ იმ ფაქტით, რომ ქართველ პოლიტიკოსს დასავლეთშიც აფასებენ. გარდა ამისა, ზურაბ ჟვანია ეროვნული მოძრაობიდანაა მოსული და არ იყო კომუნისტური ნომენკლატურის წევრი.

— **ბატონო მიშა, ჟვანიას თქვენეული დახასიათება მე მგონი ჩვენს რედაქტორსაც მოულბობს გულს. ისე კომუნისტური ნომენკლატურის წევრობა დღეს ცოდვად აღარ ითვლება. მაგრამ რას გულისხმობდით, როდესაც ბრძანეთ, რომ ჟვანიას მიმართ პრესა არ იყო სამართლიანი?**

საკმაოდ დამცინავი და ირონიული კომენტარები იყო, რაც ამ ბოლო დროს ჩაცხრა. ეტყობა რეალურმა საქმემ ბევრი დაადუმა. შეიცვალა დამოკიდებულება „მოქალაქეთა კავშირის“ მიმართაც. იგი ადრე აღიქმებოდა როგორც ოფიციოზის ძალა. დღეს კი მოსახლეობა დარწმუნდა, რომ „მოქალაქეთა კავშირი“ ცალსახა არგუმენტებს არ მიიღებს. ჩვენ არაფერს არ უარვყოფთ ცალსახად და არაფერს არ ვიღებთ ცალსახად.

— **ბატონო მიშა, რახან პარტიაზე და მის ლიდერებზე ვსაუბრობთ, იქნებ ბატონ ედუარდ შევარდნაძეზეც გვეთქვათ ორიოდე სიტყვა.**

ედუარდ შევარდნაძის პიროვნების მიმართ როგორი დამოკიდებულებაც არ უნდა გვქონდეს, ფაქტია, რომ დღეს შევარდნაძე საქართველოსთვის ათა-თურქია, ოღონდ გაცილებით დემოკრატიული და ლიბერალური. შევარდნაძის პერსონის მიმართ ამ ბოლო დროს დასავლეთში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა. ადრე თუ მას პატივს სცემდნენ როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს, დღეს პატივს სცემენ როგორც საქართველოს პრეზიდენტს საქართველოში მიმდინარე მოვლენების გამო. ეს ფაქტი საქართველოს მსოფლიო რუკაზე ამკვიდრებს. დეკემბერში მე შეხვედრა მქონდა ამერიკის პრეზიდენტის, კლინტონის თანაშემწესთან. შევარდნაძე რომ ვახსენე, ამ სერიოზულ კაცს თვალები ცრემლით აევსო. პატარა ქვეყნის ლიდერის მიმართ ასეთი არარაციონალური დამოკიდებულების არ დანახვა და არგამოყენება შეუძლებელია. მე ვფიქრობ, რომ შევარდნაძეს ეხლა თავის შესაძლებლობების რეალური გამოვლინების უფრო მეტი საშუალება აქვს. ისე კი, სახელმწიფოებრიობის მშენებლობა იმას ნიშნავს, რომ მისი ბედი ცალკეულ პიროვნებებზე კი არა, ინსტიტუტებზე უნდა იყოს დამოკიდებული. ამას ყველაზე კარგად მე მგონი თავად პრეზიდენტი ხვდება.

— **ბატონო მიშა, როგორ შეაფასებთ ახალი პარლამენტის მიერ გაწეულ მუშაობას?**

დღეს პარლამენტი გაცილებით უფრო სერიოზულია და ნაკლებად საინტერესო. რატომღაც თვლიან, რომ ახალი პარლამენტი თავისი შემადგენლობით თავის წინამორბედზე უფრო სუსტია, მაგრამ ეს სიმართლეს არ შეეფერება. ასე მაგალითად, თუ ადრე მინისტრები პარლამენტში იაფფასიანი, დემაგოგიური გამოსვლებით გადიოდნენ ფონს, დღესდღეობით ეს უკვე განვლილი ეტაპია. ახალი პარლამენტი ნაკლებ ხმაურიანი და უფრო ნაყოფიერია. ამისი მიღწევა მოხერხდა მუშაობის კომიტეტებში გადატანის ხარჯზე.

პარლამენტმა წარმოდგენილ პროექტთან შედარებით ძირეული და სასიკეთო ცვლილებებით მიიღო ბიუჯეტი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

განსხვავებით ჩვენი მეზობლებისაგან საქართველოს პარლამენტში დემოკრატიული გზით ვერ მოხვდნენ კრიმინალური ძალები, რადიკალურნაციონალისტურ-ექსტრემისტული ძალები და კომუნისტები. ამ მხრივაც საქართველო უნიკალურია.

— **პარლამენტში ვერ მოხვდა ეროვნული მოძრაობიდან მოსული ბევრი პარტიაც, როგორ ფიქრობთ, რატომ დამარცხდნენ ისინი არჩევნებში?**

ეროვნული მოძრაობა ვერ გაერთიანდა. მან დაკარგა თავისი არსებობის მნიშვნელობა იმდენად, რამდენადაც საქართველოს დამოუკიდებლობა დღეს უკვე მოპოვებულია. მაგრამ დამოუკიდებლობას ეკონომიკური გამაგრება, სახელმწიფოებრიობის მენტალიტეტის ჩამოყალიბება სჭირდება. სამწუხაროდ, ჩვენთან დამოუკიდებლობა ასოცირებული იყო სახელმწიფო ეკონომიკის ნგრევასთან. როდესაც პარლამენტის სესიაზე ირაკლი წერეთელი აცხადებდა, რა დროს გადასახადებზეა საუბარი, მოდი რუსეთის ბაზებზე ვილაპარაკოთო, სწორედ ეს იყო იმის კვინტესენცია, რამაც ეს ძალები არჩევნებში დაამარცხა.

ეროვნულ მოძრაობას მიკუთვნებული პარტიების ნაწილის გადაგვარებამ ნათელი გამოხატვა ნახა მათ მოთხოვნაში: შევარდნაძე გადამდგარიყო, ვინაიდან იგი რუსეთს ალიზიანებდა. ამ მოთხოვნაზე მეტი ეროვნული ღირსების შელახვა ძნელი წარმოსადგენია. გარდა ამისა იმ ხალხს, ვისაც პრეტენზია ჰქონდა ეროვნული ძალების მონოპოლიაზე, ბევრად უფრო უადვილდებოდათ საერთოს გამონახვა სახელმწიფოებრიობის მტრებთან, ვიდრე თანამოაზრეებთან.

სამწუხაროდ, მოხდა ისეც, რომ ეროვნულობის ლოზუნგები ყველაზე კორუმპირებული ძალების საბოლოო არგუმენტადაც იქცა. ის ხალხი, ვინც უცხოტომელთა შემოტევით გვაშინებდა და ყველაზე მეტად ყვიროდა, თავად წყნარად და ხელშეუშლელად აქცევდა და ძირს უთხრიდა ჩვენს სახელმწიფოს. მე მიმაჩნია, რომ ეროვნული მოძრაობიდან მოსულმა ძალებმა საკმარისი პრინციპულობა ვერ გამოიჩინეს, შესაბამისად დაზარალდნენ კიდეც.

— **ბატონო მიშა, პირადად თქვენი კომიტეტის მუშაობის შესახებ რას იტყვით?**

პირველად გაზეთ „საქართველოსთვის“ ვიტყვი, რომ ჩვენს კომიტეტში შეიქმნება საგამომძიებლო კომისია, რომელიც შეისწავლის კორუფციასთან დაკავშირებულ ყველა საქმეს და მოახდენს მათ დეტალურ გამოძიებას.

ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ დაისაჯონ ის პირები, რომლებიც ძარცვავდნენ სახელმწიფოს. სხვათა შორის, საქართველოს ომში დამარცხებაც მათი დამსახურებაა, რადგან ქვეყნის ეკონომიკა არ იყო ის ეკონომიკა, რომელიც ომს მოიგებდა.

— **კომისია რა ხანდაზმულობის საქმეების ძიებას დაიწყებს?**

— ჩვენ შევისწავლით უახლესი სამ-ოთხი წლის განმავლობაში მომხდარ ყველა საქმეს.

— **კიდევ რა გეგმები აქვს კომიტეტს?**

აუცილებელია ჩატარდეს სასამართლო რეფორმა. სასამართლო სისტემა ისეა ძირგამომპალი, რომ მასთან პროკურატურის შეერთება არ შეიძლება. საჭიროა ახალი კანონმდებლობის მიღება. ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ბიუროკრატიას და კორუფციას. ერთხელ და საბოლოოდ ბოლო უნდა მოვუღოთ მოქალაქეების ყოველდღიურ დამცირებას სასამართლოებში, პოლიციაში, სახლმმართველობებში და სხვა ამგვარ დაწესებულებებში.

ისე ძალიან ბევრი რამეა გასაკეთებელი. და თუ ეს არ გაკეთდება, ორი დღე არ გავჩერდები აქ. მე დეპუტატობა კარიერის გამო არ მინდოდა. ისე ბევრი დეპუტატი ადრეც სიამოვნებით გამიცვლიდა ადგილს... ჩემთვის არაა სულერთი, თუ როგორ ქვეყანაში ვიცხოვრებ და როგორი ქვეყნის წარმომადგენელი ვიქნები საზღვარგარეთ.

ესაუბრა
ლელა ჯაფარიძე

## კროსვორდი



**თარაზულად:** 6. მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელი; 9. ლოცვას გადაყოლილის მეტსახელი; 10. ვის მოსდის მხოლოდ ერთი შეცდომა, მაგრამ საბედისწერო? 13. ძვირფასმერქნიანი ხე; 14. ოფიცრის სამხრე; 16. კრიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე, ავტორი წიგნისა „მწერლობის მოთვინიერება“; 17. ქართული გაზეთი; 19. ლუკმა მწარეა, როცა... 20. ფუტკრის მიერ გამომუშავებული ნივთიერება; 21. პირი ძველ საქართველოში, რომელიც აწამებდა მსჯავრდადებულს ან სისრულეში მოჰყავდა სასიკვდილო განაჩენი; 24. რ.ჩხიკვაძის სცენური სახე; 27. რომელიღაც გაურკვეველ ადგილას, ესე იგი... 29. „დაისის“ პერსონაჟი; 31. ეპისკოპოსის საეკლესიო, ოფიციალური სახელი; 32. სასადილო იტალიაში; 33. მშრალ კედელზე წყლიანი საღებავებით შესრულებული მხატვრობა; 34. ის, რასაც არ არჩევს, არ ცნობს სიყვარული; 35. ნაგებობა სტადიონებზე, მოედნებზე.

**შვეულად:** 1. ესპანური ქუდი; 2. რისამე ადმინისტრაციულ ტერიტორიული დანაყოფი; 3. ხელის ქსოვილი; 4. პერსონაჟი სპექტაკლისა „საბრალდებო დასკვნა“; 5. მსჯელობა ან დასკვნა, შემცველი ორი ერთმანეთის გამომრიცხავი დებულებისა; 7. სასუნთქი მილი; 8. დროის მონაკვეთი; 11. საბუთი, რომელშიც ჩამოთვლილია დამზადებული ნაკეთობის, საქონლის ნაწილების, რაოდენობა, წონა... 12. ხაჭაპურში ყველის რაოდენობის შემცირება, ზოგჯერ გაქრობაც (ოდნავ უცხოური სიტყვა); 15. ზედამხედველობის ორგანოები; 16. ქიმიური ელემენტი; 18. რას ეძახიან გაბატონებულ გემოვნებას; 22. კოლოფი ხელსაქმისათვის, ჰრა-კერვისათვის საჭირო ნივთების შესანახად; 23. ქართველი მწერალი; 25. „იანვრის“ შესატყვისი ძველ ქართულ წარმართულ კალენდარში; 26. ბიბლიური პერსონაჟი; 27. ცნობილი ამერიკელი ფინანსისტი და ქველმოქმედი; 28. ქართული ფილმი; 30. ის, რაც ყველა ადამიანს უნდა გააჩნდეს.

გიორგი გასიტაშვილი

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 5. ორანგუტანგი; 6. ფუნდუ; 7. უარყო; 8. ტუხტი; 9. თართი; 12. ბუქსირი; 13. გეიზერი; 14. პენალტი; 17. აბსცისა; 19. ბერწი; 23. სკალდი; 24. ეიფელი; 28. იდიში; 29. ეკლესია; 30. ჭანჭური; 33. კემუნტი; 35. როსტომი; 37. უჯუში; 38. ამაყი; 39. თავლა; 40. კვალი; 41. ანანიაშვილი.

**შვეულად:** 1. ფურუნკული; 2. ლოგარითმი; 3. ინდუსტრია; 4. ჩატურანგი; 10. იბსენი; 11. კიოსკი; 15. ტფილისი; 16. ერა; 18. „ბენფიკა“; 19. ბზიფი; 20. იდენი; 21. მკა; 22. ალა; 25. მაკაკი; 26. შინ; 27. ქორქია; 31. აინშტაინი; 32. პრიმაკოვი; 34. ხოჯავანქი; 36. საყვარლის.

რევაზ შავიშვილი:

## ღირებულება იდება სალაროში, განსხვავება - ქურდების ჯიბეში

პირველი გვერდიდან

ზუსტ კომენტარს, ჩვენ არაფერი გვესაქმება. მაგრამ შევხედოთ, რა არის პრივატიზირებული? ის, რომ არსებობდა მატერიალური ფასეულობების დანაკლისი და პრივატიზაცია მაინც ხდებოდა, უკვე უხეში დარღვევაა. თუ კონტროლის პალატამ შესძლო დანაკლისის გამოვლენა, ვინც აკეთებდა პრივატიზაციას, მათ რატომ ვერ შენიშნეს? ჩვენი მონაცემებით, ძალიან ბევრი ობიექტია არასწორად პრივატიზირებული, ამიტომ პრივატიზაცია ყოველთვის არ არის გადამწყვეტი არგუმენტი.

— **თქვენი აზრით, რამდენად რეალურია ამ თანხების ამოღება?**

— კონტროლის პალატისა და პირადად ჩემი მიზანი მარტივია — არის საშუალება, რომ რაღაც მაინც დაბრუნდეს და აღდგეს — ამიტომ ეს აუცილებლად უნდა გაკეთდეს. დიახ, სახელმწიფო ქონება დატაცებულია, მაგრამ ყველა ფასეულობის უკან ხომ დგას კონკრეტული მატერიალურად პასუხისმგებელი პირი? თუ დოკუმენტები არ არის, დააბრუნონ მოპარული ფასეულობანი, სანამ კონტროლის პალატა დადგომიათ თავზე.

## სასოწარკვეთილი ადამიანების ძახილი

პირველი გვერდიდან

ტის ერთ-ერთ პუნქტში მინიშნებულია, დაევალოს ქალაქის მერიას, გამოყოს ერთ მილიონ ნახევარი ლარი 1992 წლის მოვლენების დროს დანგრეული საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის. თუ ყოველ წელს ამ რაოდენობით თანხა გამოიყო ბიუჯეტში., მათი სახლების მშენებლობა ოცი წელი გაგრძელდება.

დაზარალებულთა საყოფაცხოვრებო პირობების შესახებ ისაუბრა საინიციატივო ჯგუფის ეკონომიკური კომისიის თავმჯდომარემ ჯანდიერმა.

ითქვა, რომ ეს ადამიანები საშინელ პირობებში ცხოვრობენ, მათი შვილები სასტუმროების დერეფნებში იზრდებიან ანტისანიტარიის პირობებში. გარდაეცვალათ 60 კაცი. ხოლო ცნობილი მოვლენების დროს ცოცხლად ჩაიწვა 2 ადამიანი. ეს ფაქტი ცნობილი არ გახლდათ.

1995 წლის აპრილში შედგენილი იქნა განცხადება, სადაც საინიციატივო ჯგუფმა ჩამოაყალიბა მოთხოვნები: აშენებულიყო სახლები, რომლებიც დაკარგეს. უნდა მომხდარიყო დამწვარი ქონების და მორალური ზარალის ანაზღაურება. ქალაქის ყოფილი მერისაგან მათ უარყოფითი პასუხი მიიღეს. ასევე კრიტიკული დამოკიდებულება გამოითქვა ფინანსთა მინისტრის მისამართით, რომელმაც ყურად არ იღო დაზარალებულთა გასაჭირი.

დაზარალებულთა სახლების ასაშენებლად საჭიროა 20 მილიონი დოლარი. ხოლო ბიუჯეტში მთავრობის სახლის ინვენტარის შესაძენად გამოყოფილია ოთხი მილიონი ლარი, ხოლო ფინანსთა სამინისტროს რბილი ინვენტარისათვის 2 მლ. ლარი.

როგორც ქალბატონმა ჯანდიერმა განაცხადა, ისინი მოითხოვენ, მთავრობამ მათ გამოუყოს საკომპენსაციო თანხა იმ რაოდენობით, რომ ბინა იყიდონ და საოჯახო ნივთები შეიძინონ, ან აუშენონ სახლები. ბოლოს და ბოლოს, პასუხი მიიღონ მთავრობისაგან.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ ბრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

ფასი: 50 თეთრი

ტელეფონები:
93-20-36, 93-19-99 93-18-41